ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

თამარ ბაქრაძე

უმაღლესი განათლების მასიფიკაცია და სპეციალობით დასაქმების დონე საქართველოში (საბაკალავრო საფეხური)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ლელა სამნიაშვილი
განათლების მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ს მოწვეული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საქართველოში და ამ პროცესის ფონზე სპეციალობით დასაქმების დონე.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მასიფიკაცია, სპეციალობით დასაქმების კონტექსტში არავის გამოუკვლევია. საინტერესოა, მასიფიკაციის პირობებში უნივერსიტეტები რამდენად უწყობენ ხელს კურსდამთავრებულებს, რომ დასაქმდნენ და რამდენად არიან ისინი სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი. ქართულ ენაზე თითქმის არ მოგვეპოვება ლიტერატურა, რომელიც ინფორმაციას მოგვაწვდის უმაღლესი განათლების მასიფიკაციის, მისი ისტორიის, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. მაშინ როცა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ასობით ნაშრომი იწერება მოცემული საკითხის შესახებ. უმაღლესი განათლების მასიფიკაციას დიდი გავლენა აქვს როგორც უნივერსიტეტის საქმიანობაზე, ასევე კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ რომ საკითხი აქტუალურია და ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევა სიახლე იქნება**, რადგან დაადგენს მასიფიკაციის პირობებში რამდენად არიან კურსდამთავრებულები დასაქმებულნი ზოგადად და დასაქმებულნი სპეციალობის შესაბამისად. (აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი კვლევები ჩატარებული აქვს ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს, თუმცა მონაცემებს არ ასაჯაროებენ, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათი კვლევის სანდოობას.)

მოცემული ნაშრომის **კვლევის საგანია** უმაღლესი განათლების მასიფიკაციის და სპეციალობით დასაქმების ფენომენი, ხოლო **კვლევის ობიექტი** - მასიფიკაციის პროცესში ზოგადად დასაქმება და სპეციალობით დასაქმება, აქედან გამომდინარე **კვლევის მიზანია** ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა ბაკალავრიატის სპეციალობით დასაქმების შესწავლა.

აღნიშნულად გამომდინარე დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- არსებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიისაა და ინსტრუმენტის განსაზღვრა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

Bakradze Tamari

Massification of Higher Education and Employment Rate by Specialisation in Georgia (Bachelor's Level)

Annotation

The work discusses massification of higher education and the employment rate by specialisation.

The actuality of the topic lies in the fact that massification of higher education, in terms of employment by specialisation, has never been studied in Georgia. The main objective of higher education is to enable students acquire transferable skills, which ensures their employment in the marketplace. It is of considerable interest, in the condition of massification, how universities support students in securing jobs and whether they are employed. Moreover, we do not have much of scientific literature in the Georgian language about the massification of higher education, about its history, its positive features and drawbacks, whilst worldwide hundreds of works are being written about this topic. Massification of higher education has a tremendous impact on universities as well as graduates' employment. For this reason, we believe this topic is actual and our research **will be a novelty** since It will find out the rate of graduates' employment. (It should be noted that every authorised university has conducted such research, however their findings are not public.)

The subject of the study is massification of higher education and employment by specialisation. **The object of the research** is employment and employment by specialisation. Therefore, the **goal of the research** is enquiring the graduates about their employment status.)

Due to this, we set the following tasks:

- Defining research methodology and instrument;
- Finding and processing existing information;
- Preparing Conclusions and Recommendations;

სარჩევი

შესავალი	**5**
ტერმინების განმარტება	**7**
თავი 1. უმაღლესი განათლების მასიფიკაცია მსოფლიოსა და საქართველოში	**9**
1.1 უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ისტორია	**9**
1.2 უმაღლესი განათლების მასიფიკაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები	**13**
1.3 უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საქართველოში	**16**
თავი 2. უმაღლესი განათლების მასიფიკაცია და სპეციალობით დასაქმება	**23**
2.1 საერთაშორისო მდგომარეობა	**23**
2.2 საქართველოში არსებული ვითარება	**28**
კვლევითი ნაწილი	**33**
უმაღლესი განათლების მასიფიკაციისა და დასაქმების ურთიერთმიმართება - მსჯელობა	**60**
დასკვნები	**62**
რეკომენდაციები	**64**
გამოყენებული ლიტერატურა	**65**
დანართი	

შესავალი

ნაშრომშია გამოკვლეულია ბაკალავრებისა და მაგისტრების/მაგისტრანტების საბაკალავრო საფეხურით მინიჭიებული სპეციალობით დასაქმების დონე.

ლიტერატურის მიმოხილვას დავუთმეთ ორი თავი. **პირველ თავში** განხილულია უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ისტორია მსოფლიოსა და საქართველოში; ასევე განხილულია ამ ფენომენის დადებითი და უარყოფითი მხარეები. **მეორე ნაწილში** განხილულია სპეციალობით დასაქმების დონე უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ფონზე, მსოფლიოსა და საქართველოში.

რაც შეეხება **კვლევით ნაწილს**, კვლევის **მეთოდად** გამოყენებულია კვლევის, როგორც ემპირიული, ასევე თეორიული მეთოდიც. ემპირიულ კვლევაში გამოვიყენეთ რაოდენობრივი, აგრეთვე თვისებრივი მეთოდი. რაც შეეხება **კვლევის ინსტრუმენტს**, რაოდენობრივ კვლევაში გამოვიყენეთ **სტრუქტურირებული კითხვარი**, რომელიც 500-მა რესპოდენტმა შეგვივსო. ისინი შეირჩნენ მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მქონე პირები 4 უნივერსიტეტიდან. საკვლევი თემიდან გამომდინარე ძირითადად გამოვკითხეთ ბაკალვრები. თვისებრივი კვლევა წარიმართა **სტანდარტიზირებული ღია ინტერვიუს** გამოყენებით. ინტერვიუ ჩავატარეთ საკვლევი უნივერსიტეტების ადმინისტრაციის თანამშრომლების თითო წარმომადგენელთან, თუმცა ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა ილიას სხელმწიფო უნივერსტიტეტის თანამშრომელთან. ინტერვიუ ასევე ჩავატარეთ სამი სხვადასხვა კომპანიის დამფუძნებელთან. ამ შემთხვევაშიც სტანდარიტიზებული ღია ინტერვიუ გამოვიყენეთ. რაც შეეხება **თეორიულ კვლევას,** დავამუშავეთ მეორადი ინფორმაცია. ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვული სამსახურის მონაცემებისა და ტროუს (Trow, 1999) მასიფიკაციის განმარტებაზე დაყრდნობით დავადგინეთ არის თუ არა საქართველოში უმაღლესი განათლება მასიფიცირებული.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა 2018 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის ყველა მაძიებელს მოთხოვა ჩაეტარებინა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, თუმცა ზოგიერთი

უნივერსიტეტი კვლევის შედეგებს არ ასაჯაროებს, რაც ეჭვქეშ აყენებს მათი კვლევის სანდოობას. ამაშუკელის, ლეჟავას და გუგუშვილის მიერ ჩატარებული კვლევის (2017) მიხედვით გამოკითხულთა მხოლოდ 33%-ია დასაქმებული, თუმცა მათი კვლევა არ ეხება უშუალოდ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ცნობილია, რომ უმაღლეს განათლებში მასიფიკაციის დაწყებამდე, როცა უნივერსიტეტები იყო ელიტური, კურსდამთავრებულთა ის მცირე რაოდენობა, რომელიც იღებდა უმაღლესი განათლების დიპლომს, სახელმწიფოს ხელშეწყობით საქმდებოდა. მასიფიკაციის პირობებში ამ მასშტაბებით კურსდამთავრებულთა დასაქმება აშკაად შეუძლებელია სახელმწიფოსთვის. ამ ფაქტის და კვლევების გასაიდუმლოებისა და სიმწირის ფონზე, აქტუალურად მიგვაჩნია გამოვიკვლიოთ კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმება. ვთვლით, რომ კვლევა **სიახლე** იქნება, რადგან საქართველოში არავის გამოუკვლევია სპეციალობით დასაქმების დონე უმაღლესი განათლების მასიფიკაციის კონტექსტში.

მოცემული ნაშრომის **კვლევის საგანია** უმაღლესი განათლების მასიფიკაციის პროცესი და სპეციალობით დასაქმება, ხოლო **კვლევის ობიექტია** კურსდამთავრებულთა ბაკალავრის სპეციალობით დასაქმება. **კვლევის მიზანია** დაადგინოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა ბაკალავრიატის სპეციალობით დასაქმების შესწავლა.

აღნიშნულად გამომდინარე დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- კვლევის მეთოდოლოგიისაა და ინსტრუმენტის განსაზღვრა;
- არსებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია კვლევის მოკლე შეჯამება, მსჯელობა უმაღლესი განათლების მასიფიკაციისა და სპეციალობით დასაქმების შორის არსებული კავშირის შესახებ, დასკვნებთან და რეკომენდაციებთან ერთად.

ტერმინების განმარტება

უმაღლესი განათლების მასიფიკაცია აღნიშნავს პროცესს რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტებში ჩარიცხულ პირთა რაოდენობის ზრდას (Scott, 1995). ტროუს (Trow, 1999) განმარტების თანახმად თუ მე-12 კლასელების 16-50% აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში, მაშინ ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემა მასობრივი ხასიათისაა. თუ ქვეყანაში დამამთავრებელი კლასის მხოლოდ 15% აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში მაშინ უმაღლესი განათლების სისტემას ელიტარული სახე აქვს. ხოლო თუ ეს რაოდენობა 50%-ს აჭარბებს ე.ი. ქვეყანაში უნივერსალური უმაღლესი განათლება არსებობს.

რაც შეეხება ტერმინებს, "**სპეციალობა**" და "**ბაკალავრი**". ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით (1985) **სპეციალობა** (ლათინურად specialis - განსაკუთრებული), სპეციფიკური მომზადებისა და სამუშაო გამოცდილების შედგად შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიის ფარგლებში საქმიანობისთვის. **ბაკალავრიატი** არის "*აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.*" **ბაკალავრი** არის "*მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის - ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება*" [უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 2004].

კვლევაში გამოყენებული გვაქვს ტერმინები: სპეციალობით დასაქმებული, არასპეციალობით დასაქმებული, დასაქმებული, დროებით უმუშევარი, ხანგრძლივი ვადით უმუშევარი, უმუშევარი. გავნმარტავთ თითოეულ მათგანს. **სპეციალობით დასაქმებული** პირი, მუშაობს (კვირაში ერთი საათი მაინც) იმ სფეროში, რომლის სპეციალობაც ბაკალავრის ხარისხმა მიანიჭა. მაგალითად თუ მათემატიკის პროგრამის კურსდამთავრებული სკოლაში მუშაობს მათემატიკის მასწავლებლად, ეს იმას ნიშნავს რომ ის თავისი სპეცალობიითა დასაქმებული. **არასპეციალობით დასაქმებული** არის პირი, რომელიც კვირაში ერთი საათი მაინც მუშაობს, მაგრამ არა სპეციალობის

შესაბამისად. მაგ. თუ ფინანსისტი მუშაობს პროგრამისტად, ეს იმას ნიშნავს რომ სპეციალობის მიხედვით არ არის დასაქმებული. **დასაქმებული** გულისხმობს ორივეს: სპეციალობით და არასპეციალობით დასაქმებულს. **დროებით უმუშევრად** ჩავთვალეთ პირი, რომელიც უმუშევარია ექვს თვეზე ნაკლები დროის მანძილზე, ხოლო **ხანგრძლივი ვადით უმუშევრად** პირი, რომელიც ექვს თვეზე მეტია არ არის დასაქმებული. **უმუშევარი** გულისხმობს, როგორც დროებით უმუშევარს, ასევე ხანგრძლივი ვადით უმუშევარს.

თავი 1. უმაღლესი განათლების მასიფიკაცია მსოფლიოსა და საქართველოში

წინამდებარე თავში განხილულია უმაღლესი განათლების მასიფიკაციის მსოფლიოს ისტორია, ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების მიხედვით და უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საქართველოში. უფრო კონკრეტულად ამ პროცესის ისტორია საქართველოში, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამჟამინდელი ვითარება.

1.1 უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ისტორია

ტერმინი მასიფიკაცია აღნიშნავს პროცესს რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტებში ჩარიცხულ პირთა რაოდენობის ზრდას (Scott, 1995). აღნიშნული ტერმინის შესახებ საუბრობს ტროუ (Trow, 1999), ის ამბობს, რომ უმაღლესი განათლების სისტემის სამი სახე არსებობს: ელიტარული, მასობრივი და უნივერსალური. მისი აზრით, თუ ქვეყანაში დამამთავრებელი კლასის მხოლოდ 15% აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში მაშინ უმაღლესი განათლების სისტემას ელიტარული სახე აქვს, 16-50% შემთხვევაში მასობრივი ხასიათისაა, ხოლო თუ ეს რაოდენობა 50%-ს აჭარბებს ე.ი. ქვეყანაში უნივერსალური უმაღლესი განათლება არსებობს.

უმაღლესი განათლება საუკუნეების განმავლობაში ელიტარული იყო და მასზე ხელი მხოლოდ ხალხის მცირე ჯგუფს მიუწვდებოდა. მასიფიკაცია მსოფლიოში მე-20-ის საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გააცნობიერეს, რომ უმაღლესი განათლება სოციალური და ეკონომიკური პროგრესისთვის უმნიშნველოვანესია, მას მოაქვს უამრავი სარგებელი: უკეთესი სამსახურის პერსპექტივა, მაღალი შემოსავალი, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, სწორედ ამიტომ არნახულად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა. (Hornsby&Osman, 2014). ამასთან, დღეს უმაღლესი განათლება ეკონომიკის სფეროდაც მოიაზრება.

მიმოვიხილოთ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში როდის და როგორ დაიწყო უმაღლესი განათლების მასიფიკაცია.

მეორე მსოფლიო ომამდე, **ამერიკის შეერთებული შტატების** მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი იღებდა უმაღლეს განათლებას. 1950-იანი წლებიდან კი დაიწყო

სტუდენტების რაოდენობის ზრდა. საშუალო კლასის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ამ ფენის წარმომადგენლების შვილების რაოდენობა უნივერსიტეტებში, რადგან მათთვის უმაღლესი განათლება სოციალური სტატუსის ამაღლების საშუალება იყო. 1960-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე ამერიკაში სტუდენტების რაოდენობა არნახულად გაიზარდა. ისეთმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, როგორიცაა სამოქალაქო უფლებებისა და ქალთა უფლებების მოძრაობების ჩამოყალიბება, ქალებსა და უმცირესობებს საშუალება მისცა მიეღო უმაღლესი განათლება. თუ კი 1950 წელს სტუდენტების რაოდენობა 3 000 000 მილიონს აღწევდა, 1990 წლისთვის ამერიკაში 15 000 000 მილიონამდე სტუდენტი გვხვდება. რა თქმა უნდა, სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობაც. 1960-იან წლებში 521 ახალი სასწავლო დაწესებულება დაარსდა. თუ კი 1950 წელს უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა 2000-ს არ აღემატებოდა, 1994 წლისთვის 4000-ს მიაღწია. (Gumport & Iannozzi და სხვები, 1997)

ევროპაში, ამერიკის მსგავსად, უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. მაგ. ბრიტანეთში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 1989 წლიდან 1994 წლამდე 50%-ით გაიზარდა (Williams, 1997). მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ევროპაში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, ბოლონიის პროცესმა სტუდენტების რაოდენობის გაზრდას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. 2000 წლიდან მოყოლებული სომხეთში, მონტენეგროსა და რუმინეთში სტუდენტების რაოდენობა ფაქტობრივად გაორმაგდა. დანარჩენ ქვეყნებში კი სტუდენტების რაოდენობა 20%-ით გაიზარდა. სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ცხადია, გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაც. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: სომხეთი, ჩეხეთი, იტალია, მალტა, სლოვანია - რაოდენობა 100%-ით გაიზარდა. (Crosier & Parveva, 2013)

უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ **აზიის** რეგიონიც მოიცვა. მაგალითად ჩინეთში, 1999 წელს სტუდენტების რაოდენობა 1.6 მილიონი იყო, ხოლო 2012 წლისთვის ეს რიცხვი 6.89 მილიონამდე გაიზარდა (Mok&Jiang, 2016). 1990-იანი წლებიდან სტუდენტების რაოდენობა ჰონგ კონგშიც საგრძნობლად გაიზარდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1980 წლისთვის პირველკურსელი

სტუდენტების რაოდენობა 2579 იყო, ხოლოდ 2013 წლის მათმა რაოდენობამ 17 089-ს მიაღწია (Lee, 2015). ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ინდონეზიაც, სადაც სტუდენტების რაოდენობა 200-დან 5 მილიონამდე გაიზარდა (1938-2009). ამჟამად ინდონეზიაში 2800 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლებიც 4 მილიონს სტუდენტს ემსახურება (Logli, 2015).

თუკი მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში უმაღლესი განათლების მასიფიკაცია მიმდინარეობდა, **აფრიკაში** 1980-90-იან წლებში უნივერსიტეტებში სტუდენტების რაოდენობის გაზრდის ნაცვლად მათი რიცხვი შემცირდა, საგრძნობლად იკლო უმაღლესი განათლების დაფინანსებამაც. ეს პრობლემა გამოიწვია აფრიკის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელიც ქვეყნების მთავრობას საშუალებას არ აძლევდა, რომ უმაღლეს განათლებაში ინვესტიცია ჩაედო. თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებადი ქვეყნების უმაღლეს განათლებას ისევ მიექცა ყურადღება, შესაბამისად აფრიკაში სტუდენტების რაოდენობამ თანდათან მოიმატა. ტროუს განმარტების თანახმად უმაღლესი განათლება აფრიკაში მასიფიცირებული არ არის, თუმცა სტუდენტების რაოდენობა ამ რეგიონშიც საგრძნობლად გაიზარდა. თუ კი 1970 წელს მხოლოდ 0.2 მილიონი პირი გახდა სტუდენტი, 2008 წლისთვის ეს რაოდენობა 4.5 მილიონამდე გაიზარდა (Mohamedbhai, 2014).

მაშინ, როცა მსოფლიოს სხვა მხარეებში უმაღლესი განათლება ელიტარულ ხასიათს თანადათან კარგავდა, **საბჭოთა კავშირის** მთავრობა ცდილობდა, მის საზღვრებში მასიფიკაციას არ შემოეღწია (Lenhardt & Stock, 2000). თუმცა 1991 წლიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეს პროცესი გარდაუვალი გახდა. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნა.

ტაჯიკეთი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ უამრავ ეკონომიკურ პრობლემას შეეჯახა. თუმცა საქართველოს მსგავსად, 90-იან წლებში ტაჯიკეთშიც გაიზარდა უნივერსიტეტების რაოდენობა. ტაჯიკეთის განათლების სამინისტროს მიხედვით (Kataeva, 2016) 1991 წელს ქვეყანაში მხოლოდ 10 უმაღლესი სასწავლებელი იყო, 65 586 სტუდენტით, მაგრამ 2014/15 წლებში უნივერსიტეტების რიცხვმა 38-ს ხოლო სტუდენებისამ კი 167 660-ს მიაღწია.

განსაკუთრებული მდგომარეობა გვაქვს ლატვიაში. ისევე როგორც საქართველოში, ლატვიაშიც საბჭოთა კავშირის დროს უმაღლეს განათლებაზე ყველას არ მიუწვდებოდა ხელი. თუმცა სიტუაცია შეიცვალა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. კაზა (Kaša, 2016) აღნიშნავს, რომ 1991 წელს ლატვიაში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც კერძო უნივერსიტეტებს მიეცათ ფუნქციონირების უფლება. სწორედ აქედან დაიწყო ლატვიაში უმაღლესი განათლების მასიფიკაცია. ლატვიის განათლების ისტორიაში, 2007 წელს სტუდენტების რაოდენობამ მიაღწია პიკს (43,860 სტუდენტი), თუმცა ბოლო დროს ლატვიაში სტუდენტების რაოდენობის რიცხვმა იკლო დაბალი შობადობისა და მაღალი ემიგრაციის გამო.

ყველასგან განსხვავებული და საინტერესო მდგომარეობა გვაქვს აზერბაიჯანში. მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველოს, ტაჯიკეთის და ლატვიის მსგავსად, 1990-იან წლებში უნივერსიტეტების რაოდენობა აზერბაიჯანშიც გაიზარდა, მაგრამ ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, უნივერსიტეტების რაოდნობის ზრდას არ მოყვა სტუდენტების რაოდენობის ზრდა, რაც შეილება გასაკვირი იყოს, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლამდე აზერბაიჯანში 105 000 სტუდენტი იყო. სტუდენტების რაოდნობის შემცირება გამოიწვია ეკონომიკურმა მდგომარეობა. ხალხს არ შეეძლო გადაეხადა რეპეტიტორებთან მომზადების და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის ფული. (Pashayeva, 2016). აზერბაიჯანი ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანაა, სადაც უმაღლესი განათლება არ არის მასიფიცირებული, სადაც ის ჯერ კიდევ ელიტარულად ითვლება და სადაც ყველაზე ცოტა სტუდენტია.

მოკლედ, რომ შევაჯამოთ, უმაღლესი განათლების მასიფიკაციის პროცესი გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. თუ ტროუსმიერ "მასიფიკაციის" განმარტებას დავეყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მსოფლიოს დიდ ნაწილში უმაღლესი განათლება მასიფიცირებულია. ამ პროცესმა მოიცვა: ლათინური ამერიკა, აზია, არაბული სამყარო, ხოლო ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კი უმაღლესმა განათლებამ უნივერსალური ხასიათი მიიღო (Mohamedbhai, 2014). იუნესკოს მონაცმებით (2004) 1900 წელს მსოფლიოში ნახევარი მილიონი სტუდენტი იყო. ხოლო 2000 წლისთვის მათი რაოდენობა 100 მილიონამდე გაიზარდა. (Schofer & Meyer 2005).

1.2 უმაღლესი განათლების მასიფიკაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

პირველ რიგში განვხილავთ უმაღლესი განათლების მასიფიკაციის დადებით მხარეებს, შემდეგ კი უნივერსიტეტებში სტუდენტების რაოდენობის ზრდით გამოწვეულ პრობლემებს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.

როგორც ვახტანგ სართანიას (2004) "განათლების ეკონომიკაში" ვკითხულობთ, მე-20 საუკუნის დასაწყისში განათლება განისაზღვრა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირობა. ამ განსაზღვრების თანახმად, რაც უფრო განათლებულია ერი მით უფრო ძლიერია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. სწორედ ეს არის უმაღლესი განათლების მასიფიკაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე. ელემენტარული მაგალითი, რომ მოვიყვანოთ, რაც უფრო ბევრ ადამიანს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, მით უფრო მეტ ადამიანს აქვს მაღალანაზღარებადი სამსახური, შესაბამისად მით უფრო დიდი თანხა იბეგრება ინდივიდის ხელფასიდან, რაც ქვეყნის ბუჯეტში ირიცხება. მეორე მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს უფრო მეტად შეუძლიათ წამოიწყონ ბიზნესი, აწარამოონ ხარისხიანი პროდუქტი, სხვა ქვეყნებიდან მოიზიდონ ინვესტორები და ა.შ. სწორედ ამის სჯეროდათ აზიის ისეთ ქვეყნებს როგორიცაა, სამხრეთ კორია, იაპონია, ტაივანი და ჰონგ კონგიც კი. ჯეროდათ, რომ უმაღლესი განათლების მასიფიკაციაა გააუმჯობესებდა მოსახლეობის ცხოვრების ხარსიხსს და ამ ქვეყნებს გახდიდა უფრო კონკურენტუნარიანს მსოფლიო ბაზარზე. ამიტომაც უნივერსიტეტში სტუდენტების რაოდენობის გაზრდისთვის გამოიყენეს პრივატიზაციისა და მარკეტიზაციის პრიცნიპები. (Mok & Jiang, 2016)

უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ ხელი შეუწყო სტუდენტების მობილობას. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტების უმრავლესობა საბაზრო პრინციპების მიხედვით ფუნქციონირებს და საერთაშორისო სტუდენტს ადგლობრივ სტუდენტთან შედარებით სწავლის გადასახადი ბევრად ძვირი უჯდება, გასაკვირი არაა რომ უნივერსიტეტები სტუდენტების მოზიდვას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ცდილობენ. მობილობას მივიჩნევთ, უმაღლესი განათლების მასიფიკაციის დადებით მხარედ, რადგან ეს პროცესი სტუდენტებს საშუალებას აძლევს იცხოვრონ სხვა ქვეყანაში,

შეიძინონ გამოცდილება, მიიღონ ცოდნა, გაეცნონ ქვეყნის კულტურას, შეიძინონ მეგობრები და საქმიანი ნაცნობები. ხშირად კურსდამთავრებულები ბრუნდებიან სამშობლოში და თავიანთ ცოდნასა და გამოცდლებას ქვეყანას ახმარენ, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე თავისთავად დადებითად აისახება.

თითქოს არაფერია ცუდი იმაში, რომ ბევრ ადამიანს ქონდეს უმაღლესი განათლება. თუმცა ერთი შეხედვით უწყინარმა პროცესმა რადიკალურად გარდაქმნა უნივერსიტეტების საქმიანობა და უამრავი პრობლემაც გამოიწვია.

გასაკვირი არაა, რომ მასიფიკაციამ გამოიწვია ჯგუფებში სტუდენთა რაოდენობის ზრდა. **დიდი ჯგუფები** კი ხელს უშლის ხარისხიანი განათლების მიღებას. უმაღლესი განათლების მიზანი სტუდნტებისთვის მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდება არ არის, უმაღლესმა განათლება მათ უნდა განუვითაროს სხვადასხვა შემეცნებითი უნარი: კრიტიკული აზროვნების უნარი, პრობლემების გადაჭრის უნარი და ა.შ. დიდი ჯგუფები კი ამ ყველაფერს ხელს უშლის (Hornsby & Osman, 2014). დიდი ჯგუფებით გამოწვეული პრობლემების შესახებ სხვა მკველვარებიც საუბრობენ. ზოგიერთ სტუდენტს ლექტორთან ინდივიდუალური კომუნიკაცია სჭირდება, რათა შეინარჩუნოს სწავლის მოტივაცია, ასეთ სტუდენტებს განსაკუთრებით უჭირთ დიდ ჯგუფებში, რადგან რაც უფრო მეტი სტუდენტია ჯგუფში მით უფრო რთულია ლექტორისთვის იზრუნოს თითოეული მათგანის მოტივაციის ამაღლებაზე (Kyne&Exeter, 2010). დიდი ჯგუფები ასევე იწვევს სხვა უამრავ პრობლემას, კვლევები ადასტურებს, რომ რაც უფრო მეტი სტუდენტია ჯგუფში მით უფრო ნაკლებადაა ინდივიდი ჩართული სასწავლო პროცეში, მით უფრო ნაკლებად სწავლობს მასალას, მით უფრო ნაკლებად აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ წარმატებით გაიაროს ესა თუ ის კურსი (Mulryan&Kyne, 2010).

მასიფიკაციით გამოწვეული განათლების დაბალი **ხარისხის** შესახებ ინფორმაციას სხვა კვლევებიც გვაწვდის. 2014 წელს კენიის უნივერსიტეტებში ჩატარებულმა კვლევამ ბევრი პრობლემა აღმოაჩინა. კვლევა დაეფუძნა ჰიპოთეზას, რომ კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს არ აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ სტუდენტების ხარისხიანი განათლება მისცენ. მკლვევარებმა გამოიყენეს სხვადასხვა ინდიკატორი კენიაში განათლების ხარისხის დასადგენად. ეს ინდიკატორებია: სტუდენტებისა და

ლექტორების რაოდენობის შეფარდება, ბიბლიოთეკის მომსახურების ხარისხი, სტუდენთა მხარდაჭერის მომახურების ხარისხი, გამოცდების დროს სტუდენტებზე დაკვირვების ხარისხი და გამოცდებზე გადაწერის მაჩვენებელი. მოკლედ განვიხილავ რამდენიმე ინდიკატორს. სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობის შეფარდების მაჩვენებელი სახელმწიფო უნივერსიტეტებში უფრო მაღალია ვიდრე კერძო დაწესებულებებში, მაჩვენებელი ასევე, განსხვავდება ფაკულტეტების მიხედვით. მაგ. სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე, ნაირობის უნივერსიტეტში, სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობის შეფარდება არის 1:92,34. მაშინ, როცა უმაღლესი განათლების კომისიის რეკომენდაციის თანახმად შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 1:18 - ს. მნიშნველოვანი განსხვავება გვხვდება მედიცინის ფაკულტეტის თვალსაზრისითაც. რეკომენდაციის თანახმად შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 1:7, რეალურად კი ყველა შესწავლილ უნივერსიტეტში აღემატება, ყველაზე მეტად კი, კენიატას უნივერსიტეტში, სადაც ეს მაჩვენებელი 1:26-ია. გამოცდებზე დაკვირვების ხარისხით უფრო მეტად კმაყოფილნი არიან კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები. ნაზარენეს (კერძო) უნივერსიტეტში გამოკითხულთა 82.3% კმაყოფილია, ხოლო მერუს სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ 44.7%. საინტერესო მდგომარეობა გვაქვს გამოცდებზე გადაწერის თვალსაზრისით. ზოგადად გადაწერის მაჩვენებელი მაღალი არ არის. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნაირობის უნივერსიტეტში გვხვდება: 31,1%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ნაზარენეს უნივერსიტეტში გვხვდება: 16.8%. ზოგადად სახელმწიფო უნივერსიტეტში უფრო ხშირად ვხვდებით გადაწერის შემთხვევებს, ვიდრე კერძო უნივერსიტეტებში. ავტორების აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მკაცრად კონტროლდება გამოცდების ჩატარების პროცესი. (Kimathi & Henri, 2014).

ჰონგ კონგში, ისევე როგორც აზიის რეგიონის სხვა ქვეყნებში, უმაღლესი განათლების მასიფიკაცია ასოცირდება **უთანასწორობისა** და უმუშევრობის ზრდასთან. ბოლოდროინდელი კვლევები გვიჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების მიღება ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებზე გახდა დამოკიდებული. მაგალითად, 2011 წელს მდიდარი ოჯახებიდან ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 3.7-ჯერ აღემატებოდა ღარიბი ოჯახებიდან ჩარიცხული შვილების რაოდენობას (Lee, 2015). გამოდის, რომ იმ

უპირატესობებით რაც უმაღლეს განათლებას ახლავს თან, მეტწილად საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენლები სარგებლობენ, რადგან მათ აქვთ თავიანთი შვილების გამოცდებისთვის მაღალ დონეზე მომზადების ფინანსური საშუალება.

უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ ტაივანში გამოიწვია **ხელფასების შემცირება**. როგორც კვლევები აჩვენებენ, ყოველთვიური საშუალო ხელფასი მალე ერთნაირი იქნება, როგორც უმაღლესი განათლების მქონე ადამიანისთვის, ასევე ზოგადი განათლების მქონე პირისთვის (Yang, 2015). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაივანში შობადობის მაჩვენებელი საგრძნობლად იკლებს, შესაბამისად მომავალში სტუდენტების რაოდენობაც შემცირდება, რაც გამოიწვევს იმის აუცილებლობას რომ უნივერსიტეტები დაიხურონ ან შეერთდნენ (Wang, 2003). ამასთანავე, ტაივანში გაიზარდა **უმუშევარ** კურსდამთავრებულთა რაოდენობა (Wu, 2009).

მოკლედ, უმაღლესი განათლების მასიფიკაციის დადებით მხარეებად შეგვიძლია დავასახელოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა და სტუდენტთა მობილობა. უარყოფითი მხარეებია: დიდი ჯგუფები, განათლების დაბალი ხარისხი, უთანასწორობა და უმუშევრობის ზრდა.

1.3 უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საქართველოში

საუკუნეების განმავლობაში, როგორც მსოფლიოს დიდ ნაწილში, საქართველოში უმაღლესი განათლება მხოლოდ ელიტისთვის იყო ხელმისაწვდომი. მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში უმაღლესი განათლება მასიფიცირებული გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლეს განათლებაზე ხელი მიუწვდება ყველა მსურველს. თუ ეს პროცესი მსოფლიოში დაიწყო გასული საუკუნის 60-იანები წლებიდან, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1990-იან წლებიდან დაიწყო. წინამდებარე ქვეთავში განხილულია საქართველოში უმაღლესი განათლების მასიფიკაცია ისტორიულ რაკურსში. შევეცადოთ პასუხი გავცეთ ამ პროცესთან დაკავშირებულ მთავარ კითხვებს: 1. რამ გამოიწვია მასიფიკაცია საქართველოში? 2. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა ამ პროცესს? 3. რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში ამ კუთხით.

საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში არსებობდა 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც მისაღები ადგილების რაოდენობა წინასწარ იყო განსაზღვრული. უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ თითოეულ დიპლომიან კურსდამთავრებულს ქონდა თავისი სპეციალობის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობა. ე.ი. უნივერსიტეტები სტუდენტებს აძლევდნენ ბაზართან შესაბამის ცოდნას. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ადგილების რაოდენობა წინასწარ იყო განსაზღვრული ყველას არ მიუწვდებოდა ხელი უმაღლეს განათლებაზე. სწორედ ამიტომ ეს სფერო ასოცირდებოდა პრესტიჟთან, სტაბილურ ხელფასთან, უზრუნველ ცხოვრებასთან და შესაბამისად ყველასთვის მიმზიდველი იყო (Sharvashidze, 2005).

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გაჩნდა უამრავი ეკონომიკური პრობლემა. ასეთ ვითარებაში არავინ ელოდებოდა განათლების სფეროში ახალი ინსტიტუტების გაჩენას, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 1990-დან 2000 წლამდე საქართველოში 214 კერძო უნივერსიტეტი დაარსდა. პოსტ-საბჭოთა სივრცეში მასიფიკაციის პროცესი სტიქიური იყო და საკმაოდ დიდ მაშტაბებს მიაღწია (სამნიაშვილი, 2017). ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა უნივერსიტეტების რაოდენობის აშკარა ზრდა? საქმე ისაა, რომ როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველოში საწარმოები დაიხურა, შესაბამისად საგრძნობლად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. როგორც გიორგი შარვაშიძე (2005) ამბობს, ხალხს წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე ქონდა იმის ილუზია, რომ თუ უნივერსიტეტს დაამთავრებდა და დიპლომი ექნებოდა აუცილებლად დასაქმდებოდა. მაგრამ ეს რა თქმა უნდა ასე არ მოხდა, რადგან არ არსებობდა საკმარისი სამუშაო ადგილები. ამ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში სახელმწიფომ უმაღლეს სასწავლებლებს მიანიჭა გარკვეული თავისუფლება წამოეწყო ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოებასთან და გარკვეული თვალსაზრისით შეენახა თავი ე.ი. საქართველოში მასიფიკაციის პროცესი განხორციელდა მოთხოვნა-მიწოდების პრინციპიდან გამომდინარე (სამნიაშვილი, 2017). მეორე სავარაუდო მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო სტუდენტების რაოდენობის ზრდას არის ქვეყანაში არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა. 1992 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები თავისუფლდებოდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. იქიდან გამომდინარე,

რომ ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია იყო, სამხედრო სამსახური საფრთხის შემცველად აღიქმებოდა. ამიტომაც, უმაღლესი განათლება ერთ-ერთი გამოსავალი იყო სამხედრო სამსახურისგან თავის დაღწევის. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამანაც გაზარდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოთხოვნა და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოშ არსებობდა უმაღლესი განათლების კულტი, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო ამ პროცესს.

საინტერესოა თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ქონდა უმაღლესი განათლების მასიფიკაციას 1990-იან წლებში. როგორც ვიცით ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, მშობლები კი მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ თავიანთი შვილებისთვის განათლება მიეცათ, რადგან ქონდათ უკეთესი მომავლის იმედი. მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. როგორც გიორგი შარვაშიძე [Sharvashidze, 2005: 58] ამბობს: *"გვყავს კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომების მფლობელთა არმია, ამ ადამიანების უმრავლესობას კი დასაქმების პერსპექტივა არ აქვს"* მასიფიკაციის უარყოფით მხარედ სწორედ, ეს მორალური ზიანი შეიძლება მოვიყვანოთ.

ამ პერიოდში განათლების უარყოფით მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ განათლების დაბალ ხარისხს. ამას ადასტურებს განათლების აკრედიტაციის ცენტრის (2006) მონაცემები, 38 სტუდენტზე მოდიოდა ერთი კომპიუტერი, უნივერსიტეტებს ჰქონათ მოძველებული ბიბლიოთეკები და ძველი სახელმძღვანელოები, იყო დიდი ჯგუფები, რაც ართულებდა ხარისხიანი განათლების მიღებას.

როგორი ხელოვნურიც არ უნდა ჩანდეს შეგვიძლია მასიფიკაციის პროცესს მოვუძებნოთ დადებითი მხარეებიც. უმუშევრობის პერიოდში ამდენი უმაღლესი სასწავლებლის გაჩენამ დაასაქმა უამრავი ადამიანი. მხოლოდ კერძო უნივერსიტეტებში 10 350 მასწავლებელი ასწავლიდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ადმინისტრაციის თანამშრომლებზე (Sharvashidze, 2005).

დამეთანხმებით, რომ არეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში რთულია ახალგაზრდები არ აცდნენ სწორ და მორალურ გზას. 90-იანებში ძალიან ადვილი იყო გამხდარიყავი კრიმინალი. უნივერსიტეტებმა, მართალია ამ ახალგაზრდებს ცრუ იმედები შეუქმნა მომავალში დასაქმებასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენი აზრით,

სწორედ უნივერსიტეტებმა გადაარჩინა ეს თაობა, რადგან ქუჩაში დგომის, ქურდობის და უსაქმურობის ნაცვლად, ეს ადამიანები დადიოდნენ უნივერსიტეტებში და იღებდნენ განათლებას, მართალია დაბალი ხარისხის განათლებას მაგრამ ისინი მაინც დაკავებულნი იყვნენ რაღაცით. საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემებით (2005) 2000 წლითვის საქართველოში იყო 45 707 სტუდენტი, შესაბამისად მთელ თაობაზე საუბარი გამართლებულია. ეს არის ერთ-ერთი დადებითი მხარე იმისა, რაც მასიფიკაციამ მოიტანა 90-იანების საქართველოში.

მესამე დადებითი მხარე კი ის იყო, რომ ადამიანებს მიეცათ საშუალება (რადგან მისაღები ადგილების რაოდენობა შეზღუდული არ იყო), ესწავლათ ის რაც უნდოდათ და აინტერესებდათ. თუმცა, როგორც გიორგი შარვაშიძე (Sharvashidze, 2005) ამბობს, სტუდენტები უნივერსიტეტებში დადიოდნენ არა ცოდნისთვის არამედ დიპლომისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნის დასაწყისში სახელმწიფომ გადადგა პირველი ნაბიჯები განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. 2004 წელს განათლების სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი. აკრედიტაციის ცენტრის მონაცემების მიხედვით (2006), ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო 227 უნივერსიტეტბმა. მათ ათიდან უნდა აეღოთ მინიმუმ 6 ქულა, რათა გამხდარიყვნენ აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლები. ქულები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით იყო განაწილებული. მაგ. ერთ სტუდენტზე მოსული წიგნების რაოდნოებას მაქსიმუმ 1 ქულა ენიჭებოდა, ერთ კომპიუტერზე მოსული სტუდენტების რაოდენობას კი ორი ქულა. 227 უნივერსიტეტიდან მხოლოდ 110-მა გაიარა აკრედიტაცია, ხოლო 117-მა ვერა, შესაბამისად, მათ დიპლომები აღიარებული არ იყო სახელმწიფოს მიერ. მთლიანი რაოდენობის 48%-მა გაიარა აკრედიტაცია, აკრედიტირებული უნივერსიტეტებიდან 38% იყო სახელწმიფო ხოლო 68% კერძო. აკრედიტირებული უნივერსიტეტების 68% მდებარეობდა თბილისში ხოლო დანარჩენები რეგიონულ ცენტრებში.

როგორც უკვე აღვნიშნე, უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო, სტუდენტებისა და

უნივერსიტეტების რაოდენობა არნახულად გაიზარდა. საკმაოდ საინტერესოა, თუ რა ვითარება გვაქვს 1990-იანი წლების შედმეგ. საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2011 წელს საქართველოში იყო 95.1 ათასი სტუდენტი ხოლო 2017 წელს 143.8 ათასი სტუდენტი გვყავდა. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მასიფიკაციის მიუხედავად საქართველოს ბევრ უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი თავისუფალი ადგილი რჩება. სწორედ ამიტომ დიდი მოთხოვნაა უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე, ეს უცხოელი სტუდენტები ძირითიადად აზიიდან არიან. უნდა ითქვას ისიც, რომ უცხოელი სტუდენტების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. თუკი 2005-2006 წლებში მხოლოდ 144 უცხოელი სტუდენტი გვყავდა, დღეს მათი რაოდენობა 10 074-ია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, გამოვითვალეთ 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით უნივერსიტეტში ჩარიცხულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი (ცხრილი 1.1). ამის საშუალება მოგვცა მე-12 კლასელებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ცოდნამ. გვსურს, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი მოვარგოთ ტროუს მასიფიკაციის განმარტებას და ამის მიხედვით დავადგინოთ არის თუ არა საქართველოში უმაღლესი განათლება მასიფიცირებული. 2009 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენს 47.21% შესაბამისად, ტროუს განმარტების თანახმად უმაღლესი განათლება არის მასიფიცირებული, მოცემული პროცენტული მაჩვენებელი ყოველწლიურად მერყეობდა, ზოგჯერ იზრდეობდა, შემდეგ მცირდებოდა, შემდეგ ისევ იზრდეობდა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 105.32% შეადგენს. რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლეს განათლებას საქართველოში უნივერსალური ხასიათი აქვს და არა მასიფიცირებული. ბოლო 10 წლის საშუალო არის 82.81%, რაც კიდევ უფრო ამყარებს ზემოთ ხსენებულ დებულებას უმაღლესი განათლების უნივერსალური ხასიათის შესახებ. თუმცა მონაცემების ჩვენს მიერ დათვლა არ არის ზუსტი, რადგან ჩვენ გვქონდა ინფორმაცია მხოლოდ მე-12 კლასელების რაოდენობასა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესახებ. შესაძლოა და აშკარაცაა, რომ მე-12 კლასელების გარდა სხვა ზრდასრული ადამიანები და საერთაშორისო სტუდენტები რეგისტრირდებოდნენ და ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. რა თქმა უნდა, აპლიკანტების რაოდენობა რომ გვცოდნოდა უფრო ზუსტი იქნებოდა ჩვენი

გამოთვლები, მაგრამ აღნიშნული ინფორმაციაც მეტ-ნაკლებად ზუსტია, რადგან ის პირები, ვინც უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხნენ და არ იყვნენ მე-12 კლასელები, შეადგენენ უმცირესობას. წლების მიხედვით ჩარიცხულთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებელი შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

1.3.1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი

2008/2009	47.21 %
2010	49.33%
2011	64.8%
2012	85.01%
2013	94.91%
2014	100.66%
2015	100.47%
2016	98.98%
2017	114.40 %
2018	105.32 %

მოკლედ, რომ შევაჯამოთ საქართველოში უმაღლესი განათლების მასიფიკაცია გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ეს პროცესი განხორციელდა მოთხოვნა-მიწოდების პრინციპიდან გამომდინარე, ხალხს ქონდა უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნა. ამასთანავე, ქვეყანაში არსებობდა განათლების კულტი, რამაც ხელი შეუწყო ამ პროცესს. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ გამოიწვია განათლების დაბალი ხარისხი, თუმცა ამ პროცესმა ბევრი დადებითიც მოიტანა: არეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში დაასაქმა

უამრავი ადამიანი, უსაქმურობისგან იხსნა მთელი თაობა და ადამიანებს მიეცათ საშუალება ესწავლათ ის რაც აინტერესებდათ. დღესდღეობით საქართველოში უმაღლესი განათლება უნივერსალურ ხასიათს ატარებს.

თავი 2. უმაღლესი განათლების მასიფიკაცია და სპეციალობით დასაქმება

წინამდებარე თავში განხილულია უმაღლეს დამთავრებულთა სპეციალობითა და არასპეციალობით დასაქმების საკითხი, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ და უმაღლესი განათლების მასიფიკაციის გავლენა დასაქმებაზე.

1.1 საერთაშორისო მდგომარეობა

წინამდებარე ქვეთავში განხილულია დიდი ბრტინეთის, გერმანიის, მთლიანად ევროპის, ჩინეთის და სამხრეთ აფრიკის მაგალითები. დიდი ბრიტანეთი და გერმანია შევარჩიეთ რადგან ისინი ევროპაში წამყვნი ქვეყნები არიან მშპ-ს მიხედვით. (მშპ- მთლიანი შიდა პროდუქტი, წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქციის საბაზრო ღირებულება). ევროპის მაგალითი ავირჩიეთ, რადგან საქართველოს დიდი ხანია უნდა ევროკავშირისა და ნატოს წევრობა, შესაბამისად გვინდოდა საქართველოსა და ევროპას შორის გამოგვევლინა მსგავსება-განსხვავებები დასაქმების კუთხით. აზიაში, ავიღეთ ჩინეთის მაგალითი, რადგან საქართველოსგან განსხვავებით, აქ უმაღლესი განათლების მასიფიკაციის პროცესი დაგეგმილად წარიმართა, მაგრამ საქართველოს მსგავსად კურსდამთავრებულთა უმუშევრობის პრობლემა ჩინეთშიც მწვავედ დგას. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკას, გვინდოდა ერთი ქვეყანა მაინც განგვეხილა აფრიკის კონტინენტიდან.

მასიფიკაციის გაჩენასთან ერთად ყურადღება მიექცა კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხს. **დიდ ბრიტანეთში** პირველად 1963 წელს გამოაქვეყნეს ბაკალავრიატ დამთავრებულთა დასაქმების მონაცემები. მას შემდეგ მსგავს კვლევებს ყოველ წელს ატარებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების გარდა მკველვარები ცდილობენ შეისწავლონ ისეთი საკითხები, როგორიცაა უმაღლესდამთავრებულების სამსახურით კმაყოფილების დონე, ღირდა თუ არა უნივერსიტეტის დამთავრება იმ ფინანსურ და დროის ინვესტიციად, რაც მათ უმაღლესი განათლების მიღებაში ჩადეს და ა.შ. ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა დასაქმების საკითხი.

1994 წლის ბოლოს გამოკითხეს სასექსის უნივერსიტეტის 2000 კურსდამთავრებული. მათ ბაკალავრიატის დიპლომი 1991, 1992, 1993 წლებში მიიღეს. შესაბამისად 1.5-დან 3.5

წლამდე ჰქონდათ კარიერული განვითარებისა და დასაქმებისთვის. დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ, გამოკითხულთა 39%-ს მუდმივი სამსახური ჰქონდა, 19%-ს დროებითი, 24% სწავლას აგრძელებდა, ხოლო 15% კი უმუშევარი იყო. თუმცა აღნიშნული მონაცემები შეიცვალა კიდევ ექვსი თვის გასვლის შედმეგ, ე.ი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის შედმეგ, გამოკითხულთა 48%-ს ჰქონდა მუდმივი სამსახური, ხოლო 10% უმუშევარი იყო. წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ უკვე 56%-ს ჰქონდა მუდმივი სამსახური, უმუშევრობის მაჩვენელები კი ისევ 10%-ზე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების თქმით სასექსი არის საკმოად პრესტიჟული უნივერსიტეტი და მოცემული შედეგების განზოგადება მთლიანად ბრიტანეთის განათლების სისტემაზე მიზანშეწონილი არ არის (Connor & Pollard, 1996).

ბრიტანეთში დასაქმებასთან დაკავშირებით უამრავი კვლევა ტარდება, ერთ-ერთი მათგანია Woodley-სა და Brennan-ის მიერ ჩატარებული კვლევა. 1996 წლისთვის, ბაკალავრიატ დამთავრებულებიდან სამიდან ერთი დასაქმებული იყო, ხუთიდან ერთი კი სწავლას აგრძელებდა, გამოკითხულთა 8% უმუშევარი იყო და ცდილობდა სამსახურის მოძებნას, ხოლო 5%-ს სამსახურისთვის დრო არ ქონდა სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ძირითად შემთხვევაში კი იმიტომ, რომ მოგზაურობა გადაწყვიტეს. დასაქმებულების დიდი ნაწილი, კერძოდ 89.6%, სრულ განკავეთზე მუშაობდა. უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრთა რიცხობრივი მაჩვენებელი განსხვავდებოდა სპეციალობების შესაბამისად. დასაქმების პრობლემა განსაკუთრებით აწუხებდათ ინჟინერიისა და ბიოლოგიური მეცნიერებების კურსდამთავრებულებს. თუმცა უმუშევართა პროცენტული რაოდენობა 11.8%-ს არ აღემატებოდა (Woodley & Brennan, 2000).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, **გერმანიაში** უმაღლესმა განათლება დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში განსხვავებულად განიცადა ზრდის პროცესი. დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნივერსიტეტში მისაღები სტუდენტების რაოდენობა მკაცრად იყო შეზღუდული. 1970-90-იან წლებში ახალ ჩარიცხულთა რაოდენობა 30 000-დან 35 000-მდე მერყეობდა. ხოლო ფედერაციულ რესპუბლიკაში თუ კი 1960 წელს შესაბამისი ასაკის მქონე სკოლის მოსწავლეებიდან მხოლოდ 9% აბარებდა, ეს პროცენტული მაჩვენებელი 1970 წლისთვის 20%-მდე გაიზარდა, 1993 წელს კი 35%-ს

მიაღწია. რაც შეეხება სტუდენტების საერთო რაოდენობას, 1970 წელს მათი რიცხვი 510 000 არ აღემატებოდა, ხოლო 1997 წლისთვის 1,6 მილიონი გახდა (Schomburg, 2000). თუ ტროუს მასიფიკაციის განმარტებას (Trow, 1999) დავეყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1960 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უმაღლეს განათლებას ელიტარული ხასიათი ქონდა, თუმცა სულ რაღაც 10 წელიწადში მასიფიცირებული გახდა.

ბუნებრივია, რომ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან ერთად იზრდება კურსდამთავრებულთა რაოდენობაც, რაც თავისთავად ზრდის კონკურენციას შრომის ბაზარზე. გერმანიაში, ბრიტანეთისგან განსხვავებით, ყოველ წელს არ აღრიცხავდნენ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ასაკის მიხედვით დასაქმების მაჩვენებლის შესწავლით. უმუშევრობის მაჩვენებელი განსხვავდება სპეციალობისა და დროის შესაბამისად. მაგ. მასწავლებელთა უმუშევრობა პრობლემად ითვლებოდა 1980-იან წლებში, მაგრამ დეკადის ბოლოს ეს მაჩვენებელი დაეცა. 1980-იანი წლების შუა რიცხვებში სოციალური მუშაკებიც მსგავსი პრობლემის წინაშე იდგნენ, თუმცა მასწავლებლების მსგავსად, მათი მდგომარეობაც გამოსწორდა. მექანიკოსებსა და ელექტრო ინჟინრებს კი დასაქმება განსაკუთრებით 1993-1996 წლებში გაუჭირდათ (Schomburg, 2000).

1993 წლის მონაცემების მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების 86% დასაქმებული იყო, 11% სწავლას აგრძელებდა, ხოლო 6% უმუშევარი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები ეხება როგორც უნივერსიტეტების, ასევე კოლეჯების კურსდამთავრებულებს. კონკრეტულად უნივერსიტეტების შემთხვევაში უმუშევრობის მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია - 3%, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი - 88%. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების კურსდამთავრებულების გამოკითხვა აჩვენებს, რომ სამსახურის ძებნის პერიოდი 1990-იან წლებში შემცირდა. თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიაში უმაღლესი განათლების მასიფიკაციას უმაღლესდამთავრებულების დასაქმებაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია (Schomburg, 2000).

ევროპის თითოეული ქვეყნის განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომაც მოვიშველიებ Núñez-სა და Livanos-ის (2009) სტატიას, რომელიც მთლიან ევროპაში განიხილავს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხს. მათი კვლევა გვაჩვენებს თუ რა გავლენა აქვს სპეციალობას დასაქმების პროცესში. მოცემულ ნაშრომში გამოიყენეს 700 000 ინდივიდის მონაცემები. დამოკიდებული ცვლადებია: დასაქმებული, დროებით უმუშევარი და დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარი. დასაქმებულად მოიზარებენ პირს, რომელიც კვირაში ერთი საათის განმავლობაში მაინც მუშაობს. თუ ადამიანს 12 თვეზე მეტია არ უმუშავია, მაშინ ის დიდი ხნის გნამავლობაში უმუშვრად ითვლება, 12 თვეზე ნაკლების შემთხვევაში კი დროებით უმუშევრად. დამოუკიდებელ ცვალადებად გამოიყენეს: სქესი, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, განათლების დონე და სპეციალობა (Núñez & Livanos, 2009).

ზოგადად, უმაღლესდამათვრებულების უმუშევრობის მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში საკმაოდ დაბალია, ხშირ შემთხვევაში 5%-ს არ აღემატება. გამონაკლისია სამხრეთ ევროპის ქვეყნები: საბერძნეთი (7.7%), ესპანეთი (7%) და საფრანგეთი (6.5%). უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ავსტრიასა (2%) და ირლანდიაში (2.2%) გვხვდება (Núñez & Livanos, 2009).

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა, რომ დასაქმების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ აქვს რომელი პროგრამის კურსდამთავრებული ხარ. ყველა სპეციალობის მქონე პირის დასაქმების ალბათობა დაახლოებით ერთნაირია. (Núñez & Livanos, 2009).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპაში უმაღლესი განათლების მასიფიკაციას სპეციალობის შესაბამისად დასაქმებაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. აზიასა და აფრიკაში არსებულ ვითარებას განვიხილავ ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის მაგალითზე.

საქართველოსგან განსხვავებით, **ჩინეთში** უმაღლესი განათლების მასიფიკაცია სტიქიურად არ წარმართულა. ჩინეთის სახელმწიფო თავად შეეცადა, რომ მაქსიმალურად გაეფართოებინა უმაღლესი განათლების სფერო, რათა ხელი შეეწყო ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის. აღსანიშნავია, რომ მათ თავიანთ მიზანს 2002 წელს მიაღწიეს, დაგეგმილზე 8 წლით ადრე. 2004 წელს 4.47 მილიონი პირი გახდა სტუდენტი,

ხოლო სტუდენტების საერთო რაოდენობამ 20 მილიონს მიაღწია. იქიდან გამომდინარე, რომ მილიონობით ადამიანმა მოახერხა უნივერსიტეტის დამთავრება, დიპლომის ღირებულება ადრინდელთან შედარებით დაკნინდა. 21-ე საუკუნეში უმაღლესი განათლების შესაბამისი სპეციალობის ქონა აღარ არის დასაქმებისა და მაღალი შემოსავლის გარანტი. თუმცა ხალხს ამის გაცნობიერება ჩინეთში, ისევე როგორც საქართველოში, უჭირთ. ეს გასაკვირი არცაა, რადგან საუკუნეების განმავლობაში უმაღლესი განათლება ითვლებოდა სიმდიდრის, მაღალი სოციალური სტატუსისა და ძალაუფლების სიმბოლოდ. ჩნდება კითხვა, რატომ ვერ ახერხებს მასიფიკაციის პირობებში კურსდამთავრებული იმ ყველაფრით სარგებლობას რასაც უმაღლესი განათლება გვაძლევდა? ჩინეთის შემთხვევაში საქმე ისაა, რომ განათლების ძველმა სისტემამ ვერ გაუძლო ასეთი მაშტაბებით ზრდას, მასიფიკაცია განხორციელდა შეზღუდული რესურსების მაქსიმალური გამოყენების ხარჯზე, რამაც გამოიწვია უნივერსიტეტების სტუდენტებით გადავსება, განათლების ხარისხის დაქვეითება და შეუსაბამობა სასწავლო პროგრამებსა და საბაზრო მოთხოვნებს შორის. ასეთ პირობებში გასაკვირი არაა, რომ სტუდენტების რაოდენობის მატებასთან ერთად, იზრდება უმუშევრობის მაჩვენებელი (Bai, 2006).

უმაღლესი განათლების მასიფიკაციით გამოწვეული დასაქმების პრობლემა ჩინეთში განსაკუთრებით შეეხო პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. 2003 წლის პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 55% იყო დასაქმებული. ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ამავე წლის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დიპლომის მფლობელთა შემთხვევაში. ბაკალვრების 83%, ხოლო მაგისტრების 93% იყო დასაქმებული (Bai, 2006). ამ ყველაფრით გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზიის ისეთ დიდ ქვეყანაში როგორიცაა ჩინეთი, უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ გავლენა იქონია განათლების ხარისხსა და დასაქმებაზე.

სამხრეთ აფრიკელი სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა უმუშევარი კურსდამთავრებულების რაოდენობა. თუკი 1995 წელს მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 6.6%-ს, 2005 წელს ეს რიცხვი 9.7% გახდა. უმაღლესი განათლება აღარ არის დასაქმების გარანტი. სამსახურის დაწყებაზე გავლენას ახდენს შემედგი ფაქტორები: აკადემიური ხარისხის ტიპი, სტუდენტების ცოდნა/უნარებისა და

დასაქმების ბაზარს შორის არსებული შეუსაბამობა და სპეციალობა. 2005 წლის მონაცემებით ყველაზე მეტად თავიანთი სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან სამედიცინოსა და სოციალური სამსახურის კურსდამთავრებულნი. მათი უმუშევრობის მაჩვენებელი მხოლოდ 1.8%-ია. ასეთივე დაბალი მაჩვენებლები აქვს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს (1.8%). დასაქმების პრობლემა მწვავედ არ აწუხებთ ინჟინერიისა და ტექნოლოგიების (2.1%), ენების (3.4%), ბიზნესის (3.2%) კურსდამთავრებულებს. სამსახურის პოვნა ბევრად უფრო რთულია სასოფლო-სამეურნო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, მათი 15.2% დასაქმებული არ არის. დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა გვხვდება ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრებისთვის (14.1%). აფრიკაში უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდას უმაღლესი განათლების მასიფიკაციით ხსნიან. მაგალითად, 1985 წელს ტექნიკური მიმართულებების სტუდენტების როდენობა მთლიანი სტუდენტების რაოდენობის მხოლოდ 4%-ს შეადგენდა. 2003 წელს კი მათმა რაოდენობამ 76%-ს მიაღწია (Pauw & Oosthuizen, 2008).

მოკლედ, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში უმაღლესი განათლების მასიფიკაციას განსხვავებული გავლენა აქვს კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. ყველაზე ნაკლებად უმუშევრობის პრობლემა აწუხებთ ევროპის უმაღლესდამთავრებულებს და შედარებით მეტად აწუხებთ ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის კურსდამთავრებულებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება სპეციალობების მიხედვით.

1.2 საქართველოში არსებული ვითარება

წინამდებარე ქვეთავში განხილულია მარიამ ამაშუკელის, დიანა ლეჟავასა და ნინო გუგუშვილის ანგარიში: "განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში" (2017) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივრსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები.

საქართველოში კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით სამეცნიერო სტატიები ნაკლებად მოგვეპოვება. ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც ზოგადად ხალხის

დასაქმებასთან დაკავშირებით გვაწვდის მონაცემებს, არის მარიამ ამაშუკელის, დიანა ლეჟავასა და ნინო გუგუშვილის ანგარიში: “განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში” (2017). მათ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოვლინდა, რომ საქართველოს მასშტაბით გამოკითხულთა მხოლოდ 33%-ია ანაზღაურებადი სამუშაოთი დასაქმებული, თვითდასაქმებულთა ჩათვლით. ბაკალავრის ხარისხი დასაქმების შესაძლებლობას 3-ჯერ ზრდის, ზოგად განათლებასთან შედარებით, ხოლო მაგისტრის ხარისხი 5-ჯერ. თუმცა განათლების საფეხური არ განსაზღვრავს თუ როგორ სამუშაო ადგილზე დასაქმდება ადამიანი. ანუ დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე ადგილზე თუ მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების. დამსაქმებლები მასობრივად მოითხოვენ უმაღლესი განათლების დიპლომს, მნიშნველობა არ აქვს შესასრულებელი სამუშაოს ტიპსა და ანაზღაურებას. დასაქმებულთა დაბეგრილი ყოველთვიური ხელფასი განსხვავდება ფორმალური განათლების დონეების შესაბამისად. უმაღლესი განათლების მქონე პირებს საშუალოდ 623 ლარი აქვთ ანაზღაურება, ზოგადი განათლების მქონეთ - 479, პროფესიული განათლების შემთხვევაში კი - 357 ლარი.

რაც შეეხება კურსდამთავრებულების კონკრეტულად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებას, საქართველოში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადგენილებით, ყველა ავტორიზებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მონაცემები თავიანთი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ. საქართველოში 30 უნივერსიტეტს აქვს ავტორიზაცია გავლილი. მათ შორისაა ჩვენს მიერ კვლევის მონაცემებისთვის შერჩეული უნივერსიტეტები,

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემების მოკლე შეჯამებას. სამწუხაროდ თავისუფალმა და საქართველოს უნივერსიტეტმა აღნიშნული მონაცემები არ მოგვაწოდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა კი საერთოდ არ ითანამშრომლა ჩვენთან. რაც აჩენს ეჭვს, რომ აღნიშნული კვლევები სათანადო დონეზე არ აქვთ ჩატარებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევა ჩავატარეთ მოცემულ უნივერსიტეტებში. ისინი შემთხვევითობის პრინციპით ავარჩიეთ UniRank-ის საქართველოს ტოპ 10 უნივერსიტეტიდან. ცალკე

კერძო უნივერსიტეტებიდან ორი ავარჩიეთ შემთხვევითობის პრინციპით და ასევე ცალკე სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან ორი ავარჩიეთ შემთხვევითობის პრინციპით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სამსახურის მიერ მოწოდებული დოკუმენტის მიხედვით, 2018 წლის 10 აპრილის მონაცემით, კითხვარი დასაქმებასთან დაკავშირებით შევსებული აქვს 857 პირს სამივე საფეხურიდან. ჩვენთვის ამ ეტაპზე საინტერესოა პირველი საფეხურის მონაცემები. ინფორმაცია მოცემულია პროგრამის დასახელების მიხედვით, ასევე გამოყოფილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ზოგადად და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სპეციალობის შესაბამისად. მაგ. მათემატიკის ბაკალავრების 38% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად, ხოლო ზოგადად მათი 65%-ია დასაქმებული.

აღნიშნული მონაცემები შევისწავლეთ და წარმოგიდგენთ შემდეგი სახით: 1. **ფაკულტეტების მიხედვით 2. პროგრამების მიხედვით მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით.**

1. ყველაზე ნაკლებად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. მოცემულ ფაკულტეტზე მხოლოდ სამი პროგრამა გვხდება, რომელთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი 50%-ს აჭარებებს. ესენია: არაბისტიკა (54%), ახალი ბერძნული ფილოლოგია (75%) და ირანისტიკა (79%).

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის პროგრამების დამთავრებულთა სპეციალობის დასაქმების მაჩნებელიც 50%-ზე დაბლა ექცევა. მხოლო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დამამთავრებლების 55.6% მუშაობს თავისი სპეცილობით. მოცემულ ფაკულტეტზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გვხვდება სოციოლოგიის პროგრამაზე (14.6%).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შემთხვევაში პროგრამების უმრავლესობის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი 30%-დან 50%-მდე მერყეობს, ხოლო ოთხი მიმართულების მაჩვენებელი აღემატება 50%-ს. კომპიტერული მეცნიერებების კურსდამთავრებულების 81%, კომპიუტერული მეცნიერებების ქართულ-ფრანგული პროგრამის 85%, ელექტრონიკის

პროგრამის 67% და გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის 55%-ია თავისი სპეციალობით დასაქმებული.

რაც შეეხება ფსიქოლოგიისა და განათლების, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებს, მათი ყველა პროგრამის კურსდამთავრებულების 50%-ზე მეტია დასაქმებული თავიანთი სპეციალობით. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 77.7% ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე გვხვდება. ხოლო ყველაზე დაბალი 55% ფსიქოლოგიის პროგრამაზე.

2. პროგრამების მიხედვით სპეციალობით დასაქმების თვალსაზრისით 15%-ზე დაბალი მაჩვენებლები გვხვდება შემდეგ პროგრამებზე: ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, კავკასიოლოგია, ებრაისტიკა, არამეისტიკა, ქართული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია და ამერიკისმცოდნეობა. მათ შორის ყველაზე დაბალი მაჩვენელები 3% აქვს ამერიკისმცოდნეობას, ზოგადად კი ამერიკისმცოდნეობის კურსდამთავრებულების 38%-ია დასაქმებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს პროგრამა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტში შედის. უფრო მეტიც ამავე ფაკულტეტში ვხვდებით პროგრამების კურსდამთავრებულებს, რომელთა 0%-ია დასაქმებული თავიანთი **სპეციალობით**. ესენია: ასირიოლოგია, არმენოლოგია, სკანდინავიური და იტალიური ფილოლოგია და ტელე-კინო ხელოვნება. მათგან **არასპეციალობით დასაქმების** ყველაზე დიდი მაჩვენებელი გვხვდება სკანდინავიური ფილოლოგიის კურსდამთავრებულებში 84%. ხოლო ყველაზე დაბალი იტალიური ფილოლოგების შემთხვევაში 25%.

პროგრამების მიხედვით სპეციალობით დასაქმების თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები გვხვდება შემდეგ პროგრამებზე: **კომპიუტერული მეცნიერებები - 81 %, ხოლო ზოგადად დასაქმების თვალსაზრისით 89%**. ირანისტიკა - 79%, ზოგადად დასაქმებულია 100%, ბიზნესის ადმინისტირებების ბაკალავრების 93.4% დასაქმებულია, ხოლო მათი 77.2% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად. ახალი ბერძნული ფილოლოგიის კურსდამთავრებულების 75%-ია დასაქმებული სპეციალობთ.

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად კომპიუტერული მეცნიერებების კურსდამთავრებულნი საქმდებიან თავიანთი სპეციალობის შესაბამისად, ხოლო

ყველაზე ნაკლებად ამერიკისმცოდნეობის. თუმცა გვხვდება ისეთი პროგრამებიც, რომელთა დამამთავრებლებიც საერთოდ ვერ საქმდებიან სპეციალობით.

ამგვარად, უმაღლესი განათლების მასიფიკაციას მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში განსხვავებული გავლენა აქვს კურსდამთავრებულების სპეციალობით დასაქმებაზე. ევროპის უმაღლესდამთავრებულებს შორის გვხვდება ყველაზე დაბალი უმუშევრობის მაჩვენებელი. ჩინეთსა და სამხრეთ აფრიკაში უმუშევრობის პრობლემა უფრო სერიოზულია. ჩვენს განხილულ ქვეყნებში დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება სპეციალობების მიხედვით. რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს აქვს ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, თუმცა ზოგიერთი უნივერსიტეტი ამ მონაცემებს არ ასაჯაროებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან კომპიუტერული მეცნიერებების კურსდამთავრებულები, ყველაზე ნაკლებად კი ამერიკისმცოდნეობის.

მინდა მოკლედ ვისაუბრო კომპიტერული მეცნიერებების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების შესახებ. თსუ-ს მონაცემების მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი 89%-ია დასაქმებული. ხოლო აფრიკაში დაახლოებით 86%-ია დასაქმებული. როგორც ვხედავთ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფრიკის მონაცემები ამ კუთხით ერთმანეთს თითქმის ემთხვევა. რამ შეიძლება განაპირობოს დასაქმების მაჩვენებლის მსგავსება ერთმანეთისგან ტერიტორიულად ასე დაშორებულ ქვეყნებს შორის. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეულია საერთო ბაზრის არსებობით. აფრიკელმა და ქართველმა კურსდამთავრებულმა შეიძლება ორივემ ქვეყნიდან გაუსვლელად იმუშაოს უცხოური IT კომპანიებისთვის. კომპიტერული მეცნიერებები არის ისეთი სფერო, რომელში დასაქმებაც ადგილზე არ არის დამოკიდებული.

კვლევითი ნაწილი

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო დაედგინა არიან თუ არა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები ბაკალავრიატის სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი. კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. რაოდენობრივ კვლევაში გამოვიყენეთ სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც **500-მა რესპოდენტმა შეგვივსო**. ისინი შეირჩნენ **მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა **კონფიდენციალურია**, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგები წარმოდგენილი იქნება შეჯერებული სახით, პროცენტულ მაჩვენებელში და რესპოდენტების შესახებ რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი მონაცმები არ იქნება დაფიქსირებული.

მასიფიკაციამ დადებით მხარეებთან ერთად, მწვავე პრობლემები მოიტანა. ერთ-ერთი უმნიშნველოვანესია უმუშევრობის პრობლემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს 27 ათასმა სტუდენტმა აიღო ბაკალავრის დიპლომი. მაგრამ დასაქმდა კი ყველა მათგანი ან მათი უმრავლესობა მაინც სპეციალობის შესაბამისად? სწორედ 2017 წელს იყო უმუშევრობის ყველაზე დიდი მაჩვენელბი 20-დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. როგორც ვიცით ბაკალავრიატს 22 წლის ასაკში ამთავრებენ, ამასთანავე, ქვეყანაში დასაქმების დაბალი მაჩვენებლის ფონზე (ამაშუკელის, ლეჟავას და გუგუშვილის ჩატარებული კვლევის (2017) მიხედვით გამოკითხულთა მხოლოდ 33%-ია დასაქმებული) ვვარაუდობთ, რომ ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი სპეციალობით დასაქმებას. აქედან გამომდინარე ჩვენი **ჰიპოთეზაა**: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არ არის ბაკალავრიატის სპეციალობის შესაბამისად დასქმებული. უმრაველობას განვმარტავთ როგორც კურსდამთავრებულთა 50%-ზე მეტს.

კვლევის შეზღუდვა: უნივერსიტეტები, რომელთა კურსდამთავრებულებიც გამოვკითხეთ, მდებარეობს თბილისში. ფინანსური და დროითი რესურსების გამო ვერ მოხერხდა კვლევის რეგიონში ჩატარება. რადგან ზოგადად დასაქმება რეგიონებში უფრო პრობლემურია, ვიდრე დედაქალაში მაღალია ცდომილების ალბათობა. კვლევის მეტი სანდოობისთვის კარგი იქნებოდა ჩვენი მონაცემები შეგვედარებინა

უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ კვლევებს, თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, აღნიშნული მონაცემები არც ერთმა უნივერსიტეტმა არ მოგვაწოდა, რაც აჩენს ეჭვს, რომ დასაქმების ასპექტს ზედაპირულად იკვლევენ.

კვლევის მონაწილეები

კვლევის პოპულაცია იყო საქართველოს ოთხი უნივერსიტეტის, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატ დამთავრებულები. რაც შეეხება შერჩევას, კვლევაში გამოვიყენეთ **შემთხვევითი შერჩევა**. ონლაინ კითხვარის საშუალებით ჯამში გამოვკითხეთ 500 პირი, რომელსაც სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი აქვს. კურსდამთავრებულთა ასაკი მერყეობდა 22-დან 33-წლის ჩათვლით. მონაწილეების 37.2% მამრობითი სქესის იყო, ხოლო 62.8% მდედრობითი.

თითოეული უნივერსიტეტიდან გამოვკითხეთ სხვადასხვა რაოდენობის ადამიანი. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 173 კურსდამთავრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში - 99. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან - 128, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტიდან - 100. აქვე აღვნიშნათ, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოთხივე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელმა. იქიდან გამომდინარე, რომ გამოკითხულთა რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით განსხვავდება, მონაცემები მოცემული იქნება პროცენტებში, რათა შედარების საშუალება მოგვეცეს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ 59.6%-ს არ გაუგრძელებია უმაღლესი განათლების მიღება, ანუ მათ მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვთ. 30% ამჟამად გადის სამაგისტრო პროგრამას, 9%-ს უკვე მაგისტრის ხარისხი აქვთ, ხოლო 1.2% დოქტორანტურაში სწავლობს. გამოკითხულთა 45.6%-მა დაამთავრა კერძო, ხოლო 54.4%-მა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან გამოვკითხეთ 117 კურსდამთავრებული, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 99, იურიდიული ფაკულტეტიდან -78, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 75, სოციალურ

და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 55, მედიცინის ფაკულტეტიდან - 33, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 25, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლიდან - 20.

სტატისტიკა

მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ SPSS-ის პროგრამა, რომელიც სტატისტიკური ანალიზებისთვის გამოიყენება და რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა განსხვავებები სპეციალობით დასაქმებას და ისეთ დამოუკიდებელ ცვლადებს შორის როგორიცაა კერძო და საჯარო უნივერსიტეტები, ფაკულტეტები, სპეციალობები და სხვა.

შედეგები

შედეგები წარმოდგენილი იქნება, როგორც ცალკეული კითხვების განხილვის სახით, ასევე შედარებითი სახითა და ცხრილებით.

- **ხართ თუ არა დასაქმებული?**

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 69.6% დასაქმებულია. გამოკითხულთა 10.4% თვითდასაქმებული აღმოჩნდა, 13.2% ხანგრძლივი ვადით უმუშევარი, ხოლო 6.8% დროებით უმუშევარი.

გამოდის რომ კურსდამთავრებულთა 20%-ია უმუშევარი. ეს მაჩვენებელი ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება. ევროპაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის მაჩვენებელი საბერძნეთში გვხვდება და მხოლოდ 7.7%-ია.

- **თუ არ ხართ დასაქმებული, გთხოვთ მიუთითოთ მიზეზი.**

დაუსაქმებელთა 31.5%-ის აზრით, არ არსებობს საკმარისი სამუშაო ადგილები. 20.2%-ს არ კმაყოფილებს პირობები, რომლებსაც საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული კომპანიები და საჯარო დაწესებულებები გვთავაზობს. 22.5% ამბობს რომ დაოჯახებულია და მუშაობისთვის არ ცალია, **ამ კატეგორიიდან 95% არის მდედრობითი სქესის წარმომადგენილი.** 12.4% მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტია და მუშაობისთვის არ ცალია. 3.4%-ს არ ჭირდება ან არ სურს მუშაობა. 2.2% თვლის რომ უნივერსიტეტმა არ მისცა დასაქმებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. გვხვდება განსხვავებული პასუხებიც, 2.2% გადის სტაჟირებას, ასევე 2.2% თვლის, რომ ყველგან

თავისი კადრები ჰყავთ და ვაკანსიებს ფორმალურად აცხადებენ. გვხვდება სრულიად განსხვავებული პასუხებიც მაგ.: *"ვარ 5 თვის ორსული, რეორგანიზაციის საფუძვლით გამათავისუფლეს სამსახურიდან. ამ ეტაპზე სამსახურის ძიების პროცესში ვარ, თუმცა ჩემი ორსულობიდან გამომდინარე ვფიქრობ გამიჭირდება სამსახურის დაწყება." "ვაკანსები ტყუილია. ყველას თავის კანდიდატი ყავს. საქართველოში არ მოიშლება ნაცნობობა და 200 ლარიანი ანაზღაურება დაცინვაა გზის ფულად არ ყოფნის ადამიანს." "ყველგან გამოცდილებას ითხოვენ. მე კი არ მაქვს გამოცდილება, გარდა კერძო მასწავლებლისა. ამას კი გამოცდილებად არ თვლიან!"*

- **ხართ თუ არა დასაქმებული ბაკალავრიატის სპეციალობის შესაბამისად?**

გამოკითხულთა 51.4% დასაქმებულია ბაკალავრიატის სპეციალობის შესაბამისად, 28.6% დასაქმებულია მაგრამ არა სპეციალობის შესაბამისად, ხოლო 20% საერთოდ არ არის დასაქმებული. აქვე აღვნიშანვთ, რომ **ჩვენი ჰიპოთეზა არ გამართლდა.** აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად.

- **თუ ხართ დასაქმებული, მაგრამ არა ბაკალავრიატის სპეციალობის შესაბამისად, გთხოვთ მიუთითოთ რა სფეროში მუშაობთ.**

ის ადამიანები ვინც სპეციალობის შესაბამისად არ არის დასაქმებული, მაგრამ მაინც დასაქმებულია ყველაზე მეტად კომერციის სფეროში საქმდებიან. კერძოდ, მათი 31.6%. ყველაზე ნაკლებად კი სპორტითა და მშენებლობით არიან დაკავებულნი 0.9%.

ცხრილი 1 დასაქმების მაჩვენებელი საქმიანობის სფეროების მიხედვით

დასახელება	**პროცენტული მაჩვენებელი**
კომერცია	31.6%
საფინანსო-საკრედიტო	17.1%
განათლება	13.7%
საინფორმაციო ტექნოლოგიები	8.5%
ტურიზმი	7.7%
მედიცინის სფერო	5.1%

მედია	2.6%
დიზაინი	2.6%
სამხედრო სფერო	2.6%
რესტორანი	1.7%
ტრანსპორტი	1.7%
სახელმწიფო სამსახური	1.7%
ფოტოგრაფია	1.7%
სპორტი	0.9%
მშენებლობა	0.9%

- **რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამსახურით? 1 = ძალიან უკმაყოფილო; 2 = უკმაყოფილო; 3 = არც კმაყოფილი არც უკმაყოფილო; 4=კმაყოფილი; 5=ძალიან კმაყოფილი**

აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა 6.8% თავისი სამსახურით არის ძალიან უკმაყოფილო, 4.3% უკმაყოფილო, ნეიტრალური პოზიცია უჭირავს 22.1%-ს, ისინი არც უკმაყოფილონი არიან და არც კმაყოფილნი. 38.1% კმაყოფილია, ხოლო 28.5% ძალიან კმაყოფილი.

ზოგადი მიმოხილვის შემდეგ წარმოგიდგენთ შედეგებს შედარებითი სახით. სპეციალობით დასაქმებასთან შედარებული იქნება სხვადასხვა ცვალდები.

პირველ რიგში განვიხილოთ **სქესის** მიხედვით განსხვავებები. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა **მდედრობითი სქესის** წარმომადგენლების 46.81% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად, 28.66% დასაქმებულია მაგრამ არა სპეციალობით, ხოლო 24.52% საერთოდ არ არის დასაქმებული. სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი

მამაკაცებში უფრო მაღალი გვაქვს, კერძოდ, 59.13%. სპეციალობით არ არის დასაქმებული 28.49%, ხოლო 12.36% საერთოდ არ არის დასაქმებული.

საინტერესო განსხვავებები გამოვლინდა **ასაკის თვალსაზრისით**. აღმოჩნდა, რომ 22-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, გამოკითხულთა 47.51%-ია სპეციალობის შესაბამისად დასაქმებული, ეს მაჩვენებელი 26-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში საგრძნობლად იმატებს და 65%-ს აღწევს, თუმცა 30-33 წლებში ისევ მცირდება და 57.14% ხდება. რაც შეეხება უმუშევრობის მაჩვენებელს, 22-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ეს მაჩვენებელი 22.97%-ია, 26-29 წლებში კი საგრძნობლად მცირდება 9.7%, ხოლო 30-33 წლებში ოდნავ იმატებს და 14.28%-ს აღწევს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაც უფრო დიდი დრო გადის ბაკალავრიატის დამთავრებიდან, მით უფრო საქმდებიან კურსდამთავრებულნი სპეციალობის შესაბამისად, დროის გასვლასთან ერთად მცირდება უმუშევრობის მაჩვენებელიც. თუმცა გაკრვეული დროის გასვლის შემდეგ, ისევ იკლებს დასაქმების მაჩვენებელი. საინტერესოა რა არის ამის გამომწვევი მიზეზი? ეს ცალკე საკვლევი თემაა, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამომწვევი მიზეზი სამსახურის მაძიებელთა ასაკის მიხედვით დისკრიმინაციაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ კვლევაში მონაწილეობა მიიღო არა მხოლოდ ბაკალავრებმა, არამედ უმაღლესი განათლების სხვა საფეხურის წარმომადგენლებმაც. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლიფიკაციით დასაქმება ამ ცვლადსაც შევადაროთ. გამოკითხულთა **ბაკალვრების** 47.13% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად, 33.67% დასაქმებულია მაგრამ არა სპეციალობის შესაბამისად, ხოლო 19.19% საერთოდ არ არის დასაქმებული. საინტერესოა, რომ **მაგისტრანტების** შემთხვევაში ბაკალავრის სპეციალობით დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი იმატებს. სპეციალობით დასაქმება აღწევს 51.65% ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 19.19%-დან 24.50%-მდე ადის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტუდენტის დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, მაგისტრანტები ვერ ახერხებენ მუშაობას. მდგომარეობა იცვლება **მაგისტრების** შემთხვევაში. ბაკალავრის სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი 71.1%-ია, არასპეციალობით (ბაკალავრის სპეციალობით) დასაქმების - 15.5%. ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 1.3%. ამ შემთხვევაში ვლიდნება

კვლევის შეზღუდვა: შესაძლოა 15.5%-დან დასაქმებულნი არიან მაგისტრის სპეციალობის შესაბამისად, რომელიც განსხვავდებოდა ბაკალავრიატის სპეციალობისგან, ამ განსხვავებას ჩვენი კვლევა ვერ ადგენს. დასკვნის სახით კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგისტრებისა და ბაკალავრების უმუშევრობის მაჩვენებელი საგრძნობლად განსხვავდება. ბაკალავრების შემთხვევაში შეადგენს 19.19%-ს, ხოლო მაგისტრების შემთხვევაში 1.3%-ს. რაც შეეხება დოქტორანტებს, ისინი გამოკითხულთა 1.2%-ს შეადგენენ და ყველა მათგანი დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად.

ჩვენმა კვლევამ გამოავლინა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი **უნივერსიტეტების** მიხედვით. განვიხილოთ თითოეული უნივერსიტეტი ცალ-ცალკე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან 39.30% დასაქმებულია ბაკალვარის სპეციალობის შესაბამისად, 35.26% დასაქმებულია, მაგრამ არა სპეციალობის შესაბამისად, ხოლო 25.43% საერთოდ არ არის დასაქმებული. დაახლოებით მსგავსი მონაცემები გვაქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაშიც. 37.37% სპეციალობითაა დასაქმებული, 35% დასაქმებულია, მაგრამ არა სპეციალობით, ხოლო 27.27%. განსხვავებული მაჩვენებელი აქვთ კერძო უნივერსიტეტებს. საქართველოს უნივერსიტეტის გამოკითხული სტუდენტებისგან, 53%-ია დასაქმებული სპეციალობის შესაბამისად, 24% დასაქმებულია, ხოლო 23% საერთოდ არ არის დასქმებული. რაც შეეხება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, 77.34% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად, 17.96% დასაქმებულია მაგრამ არა სპეციალობით და 4.68% საერთოდ არ არის დასაქმებული. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **კერძო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები უფრო მეტად არიან სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტების**. თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 77.34%, ხოლო უმუშევრობის ყველაზე დაბალი 4.68%.

ცხრილი 2 დასაქმების მაჩვენებელი უნივერსიტეტების ტიპის მიხედვით

უნივერსიტეტი	**სპეციალობით დასაქმებული**	**არასპეციალობით დასაქმებული**	**უმუშევარი**
სახელმწიფო	38.6%	35.29%	26.10%
კერძო	66.66%	20.61%	12.71%

ჩნდება კითხვა, რა შეიძლება იყოს ასეთი განსხვავების გამომწვევი მიზეზი? სახელმწიფო უნივერსიტეტები გვთავზობენ შრომის ბაზარზე არამოთხოვნად სპეციალობებს, ხოლო კერძო უნივერსიტეტები მხოლოდ ისეთ პროგრამებს გვთავაზოებენ, რომლებიც დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადია. ვვარაუდობთ, რომ შეიძლება სწორედ ეს იყოს მიზეზი.

არანაკლებ მნიშნველოვანია სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი **ფაკულტეების მიხედვით**. აქვე აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი ფაკულტეტი გავაერთიანეთ სწავლების შინაარსიდან გამომდინარე. მაგ. თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლა MACS და ფიზიკის სკოლა გავაერთიანეთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან. თუმცა თავისუფალი უნივერსტიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა ცალკე გამოყვავით, რადგან მიგვაჩნია რომ სწავლების შინაარსიდან გამომდინარე მისი სხვა ფაკულტეტებთან გაერთიანება მიზანშეწონილი არ არის. აღვნიშნავთ, რომ ყველაზე მეტად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი, კერძოდ, მათი 71.79%. არასპეციალობით დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვხვდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა კურსდამთავრებულების შემთხვევაში - 50.94%. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვხვდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთან შემთხვევაში - 40%, ხოლო უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის კურსდამთავრებულებში - 5%. დეტალური მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის სახით. იხილეთ ცხრილი 3.2. **კვლევის შეზღუდვა**: იქიდან გამომდინარე, რომ ოთხი

სხვადასხვა უნივერსიტეტის ფაკულტეტები გავაერთიანეთ, შეიძლება ზოგიერთი მათგანის გაერთიანება მიზანშეწყონილი არ იყო, რადგან ჩვენ დეტალურად არ ვიცნობთ თითოეული უნივერსიტეტის, თითოეული ფაკულტეტის ყველა პროგრამას.

ცხრილი 3 კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტის დასახელება	სპეციალობით დასაქმებული	არასპეციალობით დასაქმებული	უმუშევარი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	50.50%	26.26%	23.23%
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	41.3%	46.6%	12%
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	32.07%	50.94%	16.98%
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	36%	24%	40%
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	71.79%	17.94%	10.25%
მედიცინის	60.60%	12.12%	27.27%

ფაკულტეტი			
იურიდიული ფაკულტეტი	43.58%	21.79%	34.61%
მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა	60%	35%	5%

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე მონაცემებს წარმოგიდგენთ სასწავლო პროგრამების მიხედვით. **კვლევის შეზღუდვა**: არ გამოგვიკითხავს ყველა ფაკულტეტის ყველა პროგრამის კურსდამთავრებული. ასევე, ზოგიერთი პროგრამიდან გამოკითხული გვყავს მხოლოდ 3-4 ადამიანი.

ცრილი 4 კურსადმათვრებულთა დასაქმების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით

პროგრამების დასახელება	**სპეციალობით დასაქმებული**	**არასპეციალობით დასაქმებული**	**უმუშევარი**
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი			
მათემატიკა	40%	20%	40%
ფიზიკა	12.5%	62.5%	25%
ქიმია	10%	40%	40%
კომპიუტერული მეცნიერება	87.1%	7.69%	5.12%
გეოგრაფია	33.3%	33.3%	33.3%
ბიოლოგია	30%	35%	35%

გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია	33.33%	0%	66.6%
ეკოლოგია	0%	60%	40%
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი			
ისტორია	50%	50%	0%
კულტურის კვლევები	25%	75%	0%
ხელოვნებათმცოდნეობა	100%	0%	0%
არაბისტიკა	0%	100%	0%
ქართული ფილოლოგია	21.42%	64.28%	14.28%
ინგლისური ფილოლოგია	48.14%	33.33%	18.51%
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი			
ეკონომიკა	50%	37.5%	12.5%
ბიზნესის ადმინისტრირება კონცენტრაციით ფინანსები	81.81%	9.09%	9.09%
ბიზნესის	86.6%	13.3%	

ადმინისტრირება კონცენტრაციით მარკეტინგი			
ბიზნესის ადმინისტრირება კონცენტრაციით მენეჯმენტი	55%	40%	5%
ბიზნესის ადმინისტრირება	77.77%	7.40%	14.81%
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	37.5%	50%	12.5%
მედიცინის ფაკულტეტი			
მედიცინა (სპეციალობა დიპლომირებული მედიკოსი)	60%	20%	20%
სტომატოლოგია	58.3%	0%	41.6%
რადიოლოგია	75%	0%	25%
ფარმაცია	63.63%	18.18%	18.18%
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი			
საერთაშორისო ურთიერთობები	41.17%	47.05%	5.12%

სოციალური მუშაობა	33.3%	66.6%	0%
სოციოლოგია	46.87%	40.62%	12.5%
საზოგადოებრივი გეოგრაფია	0%	100%	0%
პოლიტიკის მეცნიერება	40%	20%	40%
პოლიტოლოგია	0%	80%	20%
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	25%	56.25%	18.75%
საჯარო მმართველობა	50%	50%	0%
დიპლომატია	50%	50%	0%
იურიდიული ფაკულტეტი			
სამართალი	45.94%	18.91%	35.13%
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი			
ფსიქოლოგია	38.28%	25%	35.71%
დაწყებითი განათლება	0%	0%	100%
მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა			
საზოგადოებრივი	25%	50%	25%

ურთიერთობები			
მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები	62.5%	37.5%	0%

ახლა კი წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელშიც ჩვენი კვლევა შედარებულია თსუს-ს კვლევასთან. გარკვეულ პროგრამებზე მონაცემები ერთამენთს ემთხვევა, თუმცა გვხვდება პროგრამებიც, რომლებზეც განსხვავებული შედეგები მივიღეთ, რაც არც არის გასაკვირი, რადგან ოთხი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შეჯამებული მონაცემებია შედარებულია მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან.

ცხრილი 5 სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი. ჩვენი კვლევის თსუ-ს კვლევასთან შედარება

პროგრამების დასახელება	**ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა (ოთხივე უნივერსიტეტი)**	**თსუ-ს მონაცემები**
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი		
მათემატიკა	40%	38%
ფიზიკა	12.5%	37%
ქიმია	10%	42%
კომპიუტერული მეცნიერება	87.1%	81%
გეოგრაფია	33.3%	32%
ბიოლოგია	30%	47%

გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია	33.33%	55%
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი		
ისტორია	50%	8%
კულტურის კვლევები	25%	7%
ქართული ფილოლოგია	21.42%	11%
ინგლისური ფილოლოგია	48.14%	42%
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი		
ეკონომიკა	50%	63%
ბიზნესის ადმინისტრირება	77.77%	77.2%
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	37.5%	54.2%
მედიცინის ფაკულტეტი		
მედიცინა (სპეციალობა დიპლომირებული მედიკოსი)	60%	84%
სტომატოლოგია	58.3%	76%
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი		
საერთაშორისო ურთიერთობები	41.17%	16.9%

სოციალური მუშაობა	33.3%	20.7%
სოციოლოგია	46.87%	14.6%
პოლიტიკის მეცნიერება	40%	20.8%
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	25%	55.6%
საჯარო მმართველობა	50%	50%
დიპლომატია	50%	50%
იურიდიული ფაკულტეტი		
სამართალი	45.94%	66.7%
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი		
ფსიქოლოგია	38.28%	55%

როგორც ვხედავთ, ჩვენი ჰიპოთეზა არ გამართლა. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად. ყველაზე მეტად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი, კერძოდ, მათი 77.77%. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მონაცემები ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით ზუსტად ემთხვევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის მონაცემებს. მათ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულთა 77.2%-ია დასაქმებული. დაახლოებით მსგავსი მონაცემები გვაქვს მათემატიკის პროგრამის შემთხვევაშიც: ჩვენი კვლევა - 40%; თსუ - 38%. გეოგრაფია - ჩვენი კვლევა - 33.3%, თსუ - 32%.

გამოკითხვის გარდა, სამი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თითო თანამშრომელთან ჩავატარეთ **სტანდარტიზებული ღია ინტერვიუ** და დავადგინეთ თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ აღნიშნული უნივერსიტეტები, რათა ხელი შეუწყონ

თავიანთი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩვენთან თანამშრომლობა არ ისურვა. ამასთანავე, **სტანდარტიზებული ღია ინტერვიუ** ჩავატარეთ სამი კომპანიის თითო წარმომადგენელთან. ინტერვიუმ გამოავლინა დამსაქმებლების დამოკიდებულება კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და უნივერსიტეტთან თანამშრომლობისადმი.

ინტერვიუს შედეგები

ჩვენ გავეცანით შესასწავლი უნივერსიტეტების განვითარების სტრატეგიულ გეგმებს. ოთხივე მათგანში ყურადღება გამახვილებულია, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაძლიერების შესახებ. აღნიშნულ ამოცანას ზომავენ ისეთი ინდიკატორებით როგორიცაა: კარიერული განვითარების ცენტრების მიერ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა, სტაჟირების გავლის შემდეგ დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა, კარიერული განვითარების ცენტრის დამხარებით დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა და სხვა. ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მაქსიმალურად უწყობენ ხელს დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში.

პირველ რიგში, მოკლედ მოგაწვდით ინფორმაციას ჩვენი რესპოდენტების ვინაობის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ინტერვიუ ჩავწერეთ ქრისტინა ჩიხლაძესთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტთან (შემდგომში რესპოდენტი #1).

თბილისის თავისუფალი უნიერსიტეტიდან ჩვენთან ითანამშრომლა შაკო თავაძემ, სტუდენტების დეკანმა. (შემდგომში რესპოდენტი #2). საქართველოს უნივერსიტეტიდან ინტერვიუ ჩავწერეთ სალომე ბარამაშვილთან, დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მენეჯერთან (შემდგომში რესპოდენტი #3).

ინტერვიუს შედეგები წარმოდგენილი გვაქვს კითხვა-პასუხის სახით. თუმცა მსგავსი პასუხები წარმოდგენილი გვაქვს შეჯამებული სახით.

- **რამდენად აისახება უმაღლესი განათლების მასიფიკაციის პროცესი თქვენი უნივერსიტეტის საქმიანობაზე და რა კავშირს ხედავთ უმაღლესი განათლების მასიფიკაციასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკას შორის?**

რესპოდენტი #1: მასიფიკაცია არის 21-ე საუკუნის ტრენდი, აქამდე უნივერსიტეტები ორიენტირებულნი იყვნენ იმაზე, რომ ყოლოდათ ცოტა სტუდენტი მაგრამ გამოეშვათ ხარისხიანი კადრი. დღეს-დღეობით უნივერსიტეტი სრულად აღარ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, სტუდენტს მოაქვს დაფინანსება თავისი ვაუჩერის სახით. ასე, რომ უნივერსიტეტი იძულებულია გადავიდეს მასიფიკაციაზე და სტუდენტების რაც შეიძლება დიდი რაოდენობა მოიზიდოს. მასიფიკაცია ჩვენი უნივერსიტეტის პოლიტიკაზე დადებით გავლენას ნამდვილად არ ახდენს, რადგან განათლების ხარისხი ეცემა. სად 30 კაცი, რომ გიზის ჯგუფში და სად 15. მაგრამ დასაქმების თვალსაზრისით, ვთვლი, რომ მასიფიკაციამ უფრო ადვილი გახადა ხალხის დასაქმება. ცნობილია, რომ ეს პროცესი ზრდის კონკურენციას, ძალიან ბევრი დიპოლმირებული სპეციალისტი გვყავს, რამდენად კვალიფიციურნი არიან ეს უკვე სხვა საკითხია. რადგან ბევრი დიპლომირებული სპეციალისტი გყვყავს, მათ აქვთ უფრო ბევრი შანსი რომ დასაქმდნენ. უბრალოდ რამდენად კარგად ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას თავიანთ პოზიციებზე უკვე კარგად ჩანს ქვეყნის ეკონომიკაზე. დასაქმების დინამიკა არის გაზრდილი, 2018 წელს რომ ჩავატარეთ გამოკითხვა 60-64% დასაქმებული გვყავს, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებულია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ სპეციალობა მინიჭებული ჯერ არ აქვთ. განათლების მეცნიერებების პროგრამა რომ ავიღოთ, თითქმის 90%-იანი დასაქმება აქვთ.

რესპოდენტი #2: ჩვენ არ ვთვლით, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მასიფიცირებულია. ჩვენს უნივერსიტეტზე რა თქმა უნდა კონკურსი არის მაღალი, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტში ყოველ წელს მხოლოდ 500 სტუდენტს ვიღებთ. ხოლო აგრარულ უნივერსიტეტში 400 სტუდენტს.

რესპოდენტი #3: ჩვენ ხშრად გვისვამენ ხოლმე ინგტრიგნულ შეკითხვას, თქვენი კურსდამთავრებულები და სტუდენტები კი არიან დასაქმებულნი, მაგრამ არიან კი თავისი სპეციალობის შესაბამისად? უმაღლესი განათლების მაისიფიკაციამ დასაქმების პრობლემა კი არა სპეციალობით დასაქმების პრობლემა გამოიწვია. დავუშვათ, ჩვენს

უნივერსიტეტს 300 იურისტი ამთავრებს ყოველწლიურად, ამას თუ დავუმატებთ სხვა უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებსაც საკმაოდ დიდ რიცხვს მივიღებთ. შეუძლებელია, ყველა სპეციალობის შესაბამისად დასაქმდეს, რადგან შრომის ბაზარზე საკმარისი სამუშაო ადგილები არ არსებობს.

- **თქვენი უნივერსიტეტი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რამდენად უწყობს ხელს დასაქმებაში?**

სამივე უნივერსიტეტში არსებობს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები. როგორც ჩვენი რესპოდენტებისგან შევიტყვეთ აღნიშნული ორგანოები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ახორციელებენ მუშაობას: 1) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის ატარებენ ტრენინგებს ისეთი თემების შესახებ, როგორიცაა CV-სა და სამოტივაციო წერილის შედგენა, როგორ უნდა წავრდგეთ დამსაქმებლის წინაშე (გასაუბრების როლური თამაში) და სხვა. ინტერვიუს ჩაწერის დროს საქართველოს უნივერსიტეტში დაგეგმილი ქონდათ ტრენინგის ჩატარება სახელწოდებით "ხუთი ნაბიჯი დასაქმებისკენ". 2) წელიწადში ორჯერ ატარებენ დასაქმების ფორუმებს, რომლებშიც სხვადასხვა კომპანიები იღებენ მონაწილეობას, აცნობენ თავიანთ ვაკანსიებს, სტუდენტები უტოვებენ CV-ებს. აღმოჩნდა რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ცალკე ზრუნავს თავისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებაზე, ისინი დამოუკიდებლად ატარებენ დასაქმების ფორუმებს. ხოლო საქართველოს უნივერსიტეტში ზოგი ვაკანსია ექსკლუზიურად მხოლოდ ამ უნივერსიტეტისთვისაა გათვლილი. ინტერვიუს მეორე დღეს აღნიშნულ უნიერსიტეტში მისვლას აპირებდა საქართველოს ბანკის წარმომადგენილი, რომელიც სტუდენტებს ექსკლუზიურად გააცნობდა ამა თუ იმ პოზიციას. ამას გარდა, უნივერსიტეტები აცხადებენ სტაჟირებას თავიანთი სტუდენტებისთვის და ცდილობენ დაასაქმონ ისინი. მაგ. რეპსოდენტი #1 ამბობს, რომ ის თავისი ლექტორის ხელშეწყობით დასაქმდა უნივერსიტეტში. ინტერვიუს ჩაწერის დროს თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირებისთვის გამოცხხადებული ქონდათ 6 პოზიცია. რესპოდენტი #3-ის თანახმად, სტაჟირებას ყელაზე ხშირად აცხადებს საქართველოს უნივერსიტეტის სტარტ-აპ ფაქტორი. უნივერსიტეტში არსებული სტაჟირებებიდან,

ზოგი ანაზღაურებადია ზოგი კი არა. სტაჟირების შემდეგ, უნივერსიტეტი ასაქმებს ძალიან ბევრ სტუდენტს. 3) აღნიშნული ცენტრები სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს პირადად უგზავნიან ვაკანსიებს, საქართველოს უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ facebook ჯგუფებისა და საინფორმაციო დაფების გამოყენებითაც ავრცელებენ. საქართველოს უნივერსიტეტში ცდილობენ, რომ სტუდენტებს ასწავლონ ისეთი თანამედროვე პლატფორმების გამოყენება, როგორიცაა linkedin (დასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ქსელი).

- **რეგულარულად ატარებთ თუ არა კურსდამთავრებულების დასქმების კვლევას?**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა ჩაატარეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნით. თუმცა, რესოდენტმა #1-მა გვითხრა, რომ დასაქმების კვლევის ჩატარებას ყოველწლიურად გეგმავენ. რესოდენტი#1: "ჩვენ ახლა ვქმნით პორტალს, სადაც გვექნება ჩვენი კურსდამთავრებულების ბაზა. დღევანდელმა ავტორიზაციისა და აკრედიტაცის სტანდარტები მკაცრად ითხოვს, რომ კურსდამთავრებულებთან გვქონდეს კონტაქტი. ჩვენ იმ დონეზე გვინდა ამ კავშირის არსებობა, რომ შევქმენით კომიტეტი, რომელშიც შედიან როგორც სტუდენტები ასევე კურსდამთავრებულები, კურსდამთავრებულები მოგვაწოდებენ ინფორმაციას თუ რა გამოადგათ დასაქმების ბაზარზე, რა არ გამოადგათ. უკვე ვიწყებთ კურსდამთავრებულთა ყოველწლიურ გამოკითხვას." რაც შეეხება თავისუფალ უნივერსიტეტს აქ მსგავს კვლევას წელიწადში ორჯერ ატარებენ, ზოგჯერ ტელეფონის საშუალებით, ზოგჯერ კი ელექტრონული კითხვარის დახმარებით. საქართველოს უნივერსიტეტში დასაქმების კვლევა 2014 წლიდან ტარდება სატელეფონო ზარების მეშვეობით. იმის მიუხედავად, რომ აქ უამრავი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არ აგრძელებენ მათთან კონტაქტს და შესაბამისად ეს კურსდამთავრებულები არც დასაქმების კვლევაში იღებენ მონაწილეობას. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხოლო თავისუფალ უნივერსიტეტში საერთოდ არ ყავთ საერთაშორისო სტუდენტები.

- **თქვენი აზრით, ის სასწავლო პროგრამები რასაც სტუდენტებს სთავაზობთ, შეესაბამება დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს?**

რეპსოდენტი #1: დავიწყოთ იმით, რომ შრომის ბაზარი საქართველოში შესწავლილი არ არის. დღესდღეობით ერთი კვლევაც არ დევს იმის შესახებ თუ რა უნდა ჩემს შრომის ბაზარს. ვიცი, რომ მიმტანები უნდა და გლოვოს ყავს ძალიან ბევრი ადამიანი დასაქმებული (იცინის). მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ დასაქმების ბაზარს ვერ ვფარავთ, შეიძლება ვერ ვფარავდეთ 90%-ს, მაგრამ თქვენ ვერ მეტყვით, რომ არსებობს უნივერსიტეტი რომელიც ამას ახერხებს. თვითონ დასაქმების ბაზარი არის ძალიან ცვალებადი, მუდმივად რაღაც ახალი ხდება, თუნდაც ტექნოლოგიების თვალსაზრისით, შემდეგ ეს სიახლეები ინერგება. ჩვენ გვყავს განვითარების კომიტეტი, რომელშიც დამსაქმებლები არიან ჩართულნი. დამსაქმებლებს ვატყობინებთ ყოველ ცვლილებას, რაც პროგრამაში შედის. გარდა ამისა ვუგზავნით კითვარს: რა გინდა შენ? როგორი ტიპის კურსდამთავრებული გჭირდება? მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენი დამსაქმებლები არ ინტერესდებიან არც ჩვენი პროგრამებით და არც ჩვენი კურსდამთავრებულებით. ამას წინათ კრაიოვას (რუმინეთი) უნივერსიტეტის პროფესორმა ჩაგვიტარა ტრენინგი, რომელმაც თქვა რომ რუმინეთში აქვთ ნატოს ბაზები და ქარხნები, რომლებიც ინვესტიციას დებენ, იმაში რომ უნივერსიტეტის დოქტორანტმა კვლევა ჩაატაროს მის ქარხანაში და მისი ქარხნისთვის გამოსადეგი შედეგები დადოს. ისინი აფინანსებენ დოქტორანტებს, მათ კვლევებს, აძლევენ თანხას უნივერსიტეტს, რომ კადრები მოუმზადოს. ჩვენთან სამწუხაროდ დასაქმების ბაზარი ასე ჩართული არ არის. რატომღაც ითხოვენ უნივერსიტეტისგან რაღაც საოცრებებს. მე ვერ ვიტყვი, რომ ამ ყველაფერში უნივერსიტეტი დამნაშავეა. დამნაშავეა სახელმწიფო, რომელიც ხელს არ გიწყობს იმაში რომ დამსაქმებელთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა გქონდეს. თუნდაც დამსაქმებელს რომ შეუმციროს დღგ, სამაგიეროდ ის თანხა უნივერსიტეტს მისცეს, რომ ამა თუ იმ პროგრამის კურსდამთავრებული მოუმზადოს, თუნდაც თავის კომპანიაში მათი სტაჟირება უზრუნველყოს.

რესპოდენტი#2: ჩვენთან არსებული ყველა პროგრამა შეესაბამება დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ეს უნივერსტიტეტი არსებობს იმიტომ, რომ დააკმაყოფილოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები. რაზეც არ არის მოთხოვნა, ისეთი

პროგრამები არც გვაქვს. მაგ. აგრარულ უნივერსიტეტში არსებობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, აგრარული უნივერსტიტეტის სამართალმცოდნეობის კურსდამთავრებულებზე მაინც და მაინც დიდი მოთხოვნა არ იყო, შესაბამისად ეს პროგრამები გაუქმდა. პროგრამების უმრავლესობა შედგენილია პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობით, ზოგჯერ პირდაპირ მათი გაკეთებულიც არის ხოლმე. გვაქვს პროგრამები, რომელთა ლექტორებიც არიან დასაქმებულნი თავიანთ სფეროში, აქვთ ბიზნესი ან სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებში მოღვაწეობენ სპეციალობის შესაბამისად. აუცილებლად აქვს პრაქტიკული გამოცდილება იმ სფეროში და საგანში, რომელსაც ასწავლის, რეალურად იქიდან აღმოჩნა აკადემიურ სივრცეში და არა უკუღმა. ჩვენ პროგრამებს მხოლოდ წლიდან წლამდე კი არა ზოგჯერ სემესტრიდან სემესტრამდეც ვცვლით ხოლმე რაღაცებს იმის მიხედვით თუ რა სფეროში უფრო მეტი ვაკანსია შემოდის, რაზეა უფრო დიდი მოთხოვნა. გვაქვს პროგრამები, რომლებიც იმის გამო დავამატეთ, რადგან ბაზარზე იყო მოთხოვნა მაგ. IT management-ის კონცენტრაცია ბიზნესში, ეს პროგრამა პირველად ოთხი წლის წინ გავაკეთეთ. კომპანიებისგან ძალიან კარგი feedback-ც მივიღეთ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაამართლა ამ პროგრამამ. ასევე შეგვიძლია ვახსენოთ არქიტექტურის პროგრამაც, რადგან ბაზარზე ძალიან დიდი დეფიციტია თანამედროვე განათლება მიღებული არქიტექტორებისა. ასევე დავამატეთ ფინანსების მაგისტრატურა, აქამდე იყო მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურა, მაგრამ აღმოჩნდა რომ ცალკე ფინანსებიც საკმაოდ მოთხოვნადია.

რესპოდენტი #3: ნამდვილად შეესაბამება. ჩვენი პროგრამების ერთ-ერთი ძლიერი მხარე ისაა, რომ აქცენტს პრაქტიკულ მხარეზე ვაკეთებთ. რაც თავისთავად უადვილებთ კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცესს.

- **თქვენი აზრით, თქვენი უნივერსიტეტის რომელი სასწავლო პროგრამა ამზადებს ყველაზე კონკურენტუნარიან კადრებს?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სამივე რესპოდენტს გაუჭირდა, თუმცა რესპოდენტა #1 და #3-მა იურიდიული მიმართულება გამოარჩია. ამასთანავე, რესპოდენტი #3-ის აზრით,

საქართველოს უნივერსიტეტს საკმაოდ ძლიერი IT სკოლა აქვს, განსაკუთრებით, კიბერდანაშაულის კუთხით. ცალკე გამოვყოფთ რესპოდენტი #2-ის პასუხს.

რესპოდენტი #2: ამორჩევა გამიჭირდება, რადგან არსებობს პროგრამები, რომლებიც უფრო პრაქტიკული ხასიათისაა და პროგრამები, რომელიც უფრო მეცნიერული ხასიათისაა. თქვენ შეიძლება ვერ იპოვოთ საქართველოში დასაქმებული ჩვენი ფიზიკოსი. რადგან ფიზიკის სკოლის არც ერთი კურსდამთავრებული საქართველოში არ დარჩენილა. უმრავლესობა ან ამერიკაში სწავლობს დოქტორანტურაში, ან ავსტრიაში. საქართველოში ვერავის ნახავთ, რადგან ისინი თავიანთ მომავალს ამ ქვეყანას არ უკავშირებენ. აქვე აღვნიშნავ იმას, რომ სულ 6-7 ადამიანი ამთავრებს ამ მიმართულებას. მინდა ვისაუბრო ქიმიის შესახებაც. მიუხედავად იმისა რომ ძალიან კარგი შესაძლებლობები აქვთ ქიმიიის კურსდამთავრებულებს საქართველოშიც კი, ისინი აქ მაინც არ რჩებიან (3-4 ადამიანი ამთავრებს ყოველწლიურად). მეღვინეები შეიძლება მეტნი არიან, რადგან ბიზნესში ტრენდულია და რომ ამთავრებს 40 ადამიანი 40-ვე დასაქმებულია, შეიძლება ჩანდეს რომ ის უფრო მოთხოვნადია. მაგრამ ეგრე არ არის, რადგან ქიმიკოსს შეიძლება იმხელა ანაზღაურება ქონდეს, რომ მეღვინემ მთელი ცხოვრება ვერ შეაგროვოს იმდენი. ამიტომ, ასე ვერ შევადარებ პროგრამებს.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შუეწყონ კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს დასაქმებაში. ატარებენ ისეთ ღონისძიებებს როგორიცაა დასაქმების ფორუმები, ტრენინგები და კონსულტაციები. აქვთ სურვილი ითანამშრომლონ დამსაქმებლებთან და სასწავლო პროგრამების შედგენაში გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა დამსაქმებლებთან ინტერვიუ. პირველ რიგში, მოკლედ მოგაწვდით ინფორმაციას ჩვენი რესპოდენტების ვინაობის შესახებ. ინტერვიუ ჩავწერეთ დავით სამხაძესთან (შემდგომში რესპოდენტი #1), შპს. ენ ჯი თი გრუპის ერთ-ერთი დამფუძნებელი. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფა. ჩვენი მეორე რესპოდენტია ია მახარაძე, უძრავი ქონების სააგენტოს, შპს. ემ.ბი.ჯი ჯგუფის დამფუძნებელი. ინტერვიუ ჩავწერეთ მირა-ჰოტელსის დირექტორის მოადგილესთან დიმიტრი შველიძესთანაც (შემდგომში

რესპოდენტი #3). მირა-ჰოტელსი ფლობს სასტუმრო რივერსაიდს და ორ ბარს: ტიფანი ბარი და ტიფანი ტერასა.

ინტერვიუს შედეგები წარმოდგენილი გვაქვს როგორც შეჯამებული სახით, ასევე ინდივიდუალური პასუხების სახით.

- **სამსახურში ახალი კადრების აყვანისას უფრო მეტად რას აქცევთ ყურადღებას? განათლებას თუ გამოცდილებას? რატომ?**

ამ კითხვაზე რეპოსდენტებს ცალსახა პასუხი არ ჰქონდათ. მხოლოდ რესპოდენტმა #1-მა გვითხრა, რომ გამოცდილებას უფრო დიდი ყურადღებას აქცევენ, რადგან IT სფეროში, მაინც და მაინც არ ენდობიან ქართულ დიპლომებს. ცალკე გამოვყოფთ დანარჩენ პასუხებს.

რეპსოდენტი #2: ლოგიკას, მეტყველებას, ჩაცმულობას, ეფექტურობას, სხარტ აზროვნებას, განათლება თავისთავად, თუმცა რადიკალური მოთხოვნები მე არ მაქვს. ინდივიდუალურია, ზოგის მაგალითად მომხიბლა შემართებამ, როგორ ცდილობდა მიმეღო სამსახურში, მიმეცა შანსი. მიმიცია რათქმაუნდა. ნუ გამოცდილება კარგია მაგრამ ამ გამოცდილებას პრაქტიკაში ჩემთან ერთად თუ შეიძენს ბევრად მომგებიანია ჩემთვის.

რესპოდენტი #3: აყვანისას ყურადღებას ვაქცევთ მის განათლებას, თუმცა ასევე მის მოტივაციას, მოწესრიგებულობას. ეს დამოკიდებულია პოზიციაზე, მაგრამ მაინც სასტუმროს სფეროში ადამიანის დამოკიდებულებას თავისი მომავალი სამსახურის მიმართ დიდი ყურადღება ექცევა. არის პოზიციები სადაც შეგვიძლია გამოცდილების გარეშე ადამიანი ავიყვანოთ და ვასწავლოთ, თუ ვხედავთ რომ მონდომებულია.

- **გყავთ თუ არა დასაქამებული თანამშრომლები, რომელთაც მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვთ? თუ არ გყავთ რატომ?**

აღმოჩნდა, რომ ენ ჯი თი გრუპში ყავთ ისეთი თანამშრომლები, რომელთაც მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვთ. როგორც რესპოდენტმა #1-მა აღნიშნა, ახალი კურსდამთავრებულებიც სიამოვნებით აყავთ სამსახურიში IQ-ს ტესტის გავლის შემდეგ. ემ.ბი.ჯი ჯგუფში კი ძირითადად მაგისტრი ხარისხის მქონე პირნი ყავთ დასაქმებულნი, თუმცა მათთან სტუდენტებიც მუშაობენ. შერეული ვითარებაა მირა ჰოტელსშიც.

- **გყავთ თუ არა სტაჟიროები, თუ არ გყავთ რატომ? ან მომავალში ხომ არ გეგმავთ რომელიმე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის სტაჟირების გამოცხადებას?**

ენ ჯი თუ გრუპსა და ემ.ბი.ჯი ჯგუფში ყავთ სტაჟიორები, თუმცა არა რომელიმე კონკრეტული უნივერსიტეტისთვის. ზოგადად აცხადებენ ხოლმე სტაჟირებას. მირა ჰოტელსში კი როგორც რესპოდენტმა #3-მა აღნიშნა სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სტაჟირებას არ აცხადებენ.

- **ხართ თუ არა დაინტერესებულნი მიიღოთ მონაწიელობა რომელიმე უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის შედგენაში? (რა თქმა უნდა თქვენს სფეროში).**

უნივერსიტეტების მხრიდან მსგავსი შეთავაზება არც ერთ კომპანიას არ მიუღია. რესპოდენტ #2-სა და #3-ს მანამდე ამ საკითხზე არ უფიქრია და მსგავსი შეთავაზების შემთხვევაში არ იციან როგორ მოიქცევიან. რესპოდენტი #1 კი ამ საკითხით დაინტერესებულია და შეთავაზების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროგრამის შედგენაში.

- **იღებთ თუ არა მონაწილეობას უნივერსიტეტების მიერ ჩატარებული დასაქმების ფორუმებში?**

არც ერთი კომპანია არ იღებს მონაწილეობას დასაქმების ფორუმებში. თუმცა ენ ჯი თი გრუპი გეგმავს, რომ ჩაერთოს ამ პროცესში. **რესპოდენტი #1**: არა, მაგრამ ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას. ძირითადად სტაჟიორების მოსაზიდად. გვინდა რომ მოვიზიდოთ მაღალი პოტენციალის ადამიანები და შევუქმნათ ხედვა თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს შენი შექმნილი დოვლათი.

- **გაქვთ თუ არა ექსკლუზიური ვაკანსიები რომელიმე უნივერსიტეტების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის?**

არც ერთ კომპანიას არ აქვს ექსკლუზიური ვაკანსია რომელიმე კონკრეტული უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. რესპოდენტი #1-ის თქმით მათი მიზანია მსგავსი კუთხით თანამშრომლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

რეპოსდენტი #2: არა არ მაქვს და არც ვაპირებ, რადგან ყველას აქვს შანსი ჩემთან იმუშაოს, შანსს აუცილებლად მივცემ უბრალო სკოლა დამთავრებულსაც, და არა რომელიმე სახელოვანი უნივერსიტეტის აუცილებლად კურსდამთავრებულობის გამო. ჩემი მიდგომა ძალიან განსხვავებულია სხვა სამსახურის ვაკანსიებისაგან და ამაშია ჩემი ხიბლი. ისინი მე არასოდეს მტოვებნენ როგორც უფროსს, რომელსაც ვერ შეეწყვნენ ხასიათით, ან რაიმე პრინციპით და მიდგომებით. მე მათ ვუქმნი ყველა კომფორტს და გარემოს, რადგან ისინი ჩემი ოჯახის წევრები არიან. მე მიყვარს ყველა მათგანი და მათზე ყოველთვის განსაკუთრებულად ვიზრუნებ.

- **ხომ არ გიფიქრიათ რომ სტიპენდია დაგენიშნათ, თქვენი მიმართულების ერთ-ერთი უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტისთვის?**

არც ერთი კომპანიის წარმომადგენელს არ უფიქრია ამ თემის შესახებ, თუმცა სამივე მათგანი თვლის რომ ნამდვილად კარგი იდეაა.

- **ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კურსდამთარებულთა 20% უმუშევარია. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს მათი უმუშევრობის მიზეზი?**

ძირითადად მიზეზებად ასახელებენ არასაკმარის ცოდნასა და უნარებს და არა სამუშაო ადგილების სიმცირეს. ცალკე გამოვყოფთ ერთ-ერთ პასუხს.

რესპოდენტი #1: სამ მიზეზს გამოვყოფდი: დაბალკვალიფიციურობა, არასწორი მოლოდინები სამუშაო ბაზრისგან და არასაკმარისი აქტიურობა. რა თქმა უნდა შრომის ბაზარზე არსებობს ისეთი სფეროები, სადაც მიწოდება უფრო მეტია ვიდრე მოთხოვნა. მაგრამ ჩემი აზრით, ძირითადი პრობლემა არის არა სამუშაო ადგილების ნაკლებობა, არამედ პროფესიონალების. განსაკუთრებით კი IT სფეროში.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, დამსაქმებლები უმუშევრობის მიზეზად არ თვლიან პროფესიონალების სიჭარბეს. ზოგიერთ მათგანს აქვს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის სურვილი. ზოგიერთ მათგანს კი არ აქვს. ვფიქრობთ, რაც უფრო მეტი დამსაქმებელი ითანამშრომლებს უნივერსიტეტებთან, როგორც სასწავლო პროგრამების შედგენის თვალსაზრისით, ასევე დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მიღებით, მით უფრო მოგვარდება კურსდამთავრებულთა უმუშევრობის პრობლემა.

მთლიანი კვლევა, რომ შევაჯამოთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ჰიპოთეზა არ გამართლდა. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სპეციალობის

შესაბამისად, კერძოდ მათი 51.4%. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ბაკალვრის სპეციალობით დასაქმების დონე. გამოკითხულთა 20% საერთოდ არ არის დასაქმებული. დაუსაქმებელთა 31.5%-ის აზრით, მათი უმუშევრობის მიზეზი არის არასაკმარისი სამუშაო ადგილები. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ დამსაქმებლები, ისინი თვლიან, რომ უმუშევრობის მიზეზი არასაკმარისი ცოდნა და უნარებია და არა ვაკანსიების ნაკლებობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებში, სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით უმუშევრობის მაჩვენებელი ბევრად დაბალია. ყველაზე მეტად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულები, კერძოდ მათი 77.77%. უნივერსიტეტები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ თავიანთ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. ამისთვის ატარებენ დასაქმების ფორუმებს, ტრენინგებს, ინდივიდუალურ კონსულტაციებს. აქვთ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის სურვილი. მეორე მხრივ, ზოგიერთ დამსაქმებელს ბუნდოვანი პოზიცია უჭირავს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების მასიფიკაციისა და დასაქმების ურთიერთმიმართება - მსჯელობა

აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად; თუმცა საკმაოდ მაღალია კურსდამთავრებულთა უმუშევრობის მაჩვენებელი - 20%, მაშინ როცა ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება. როგორ უნდა აღმოვფხვრათ უმუშევრობის პრობლემა? პირველ რიგში, უნდა ვეძებოთ მიზეზები. რა შეიძლება იყოს ამდენი ადამიანის დაუსაქმებლობის მიზეზი? იქნებ უმაღლესი განათლების მასიფიკაცია? საკმაოდ რთულია ამ პროცესის უმუშევრობის მიზეზად დასახელება. მაგრამ თუ კი ჩავთვლით, რომ უმაღლესი განათლების მასიფიკაციაა პრობლემის სათავე, მაშინ ჩვენი მსჯელობა ორი კუთხით უნდა წარიმართოს. 1) უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ ათასობით ადამიანს მისცა საშუალება მიეღო განათლება და დიპლომი. დავუშვათ, რომ ყველა ეს ადამიანი ფლობს დასაქმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს. ამ შემთხვევაში პრობლემა არასაკმარისი სამუშაო ადგილები იქნებოდა, განსაკუთრებით კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა. დავუშვათ, მთელი ქვეყნის მაშტაბით ჟურნალისტიკის პროგრამას ამთავრებს 4000 ადამიანი. მოცემულ სფეროში კი ყოველწლიურად მხოლოდ 1000 ვაკანსია ცხადდება. ცხადია, დარჩენილი 3000 კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება სპეციალობის შესაბამისად. თუ კი ამ კუთხით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია უმაღლესი განათლების მასიფიკაცია ჩავთვალოთ უმუშევრობის გამომწვევ მიზეზად. ე.ი. პროფესიონალების სიმრავლე ყოფილა უმუშევრობის მიზეზი. თუმცა ამის დასადგენად დაგვჭირდება ზუსტი მონაცემები, რამდენი ადამიანი ამთავრებს სხვადასხვა პროგრამას, რამდენი ვაკანსია ცხადდება და ა.შ. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მონაცემები შეიძლება ყოველწლიურად შეიცვალოს. 2) ცნობილია, რომ უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ გამოიწვია დიდი ჯგუფების ჩამოყალიბების აუცილებლობა, დიდმა ჯგუფებმა კი სწავლის ხარისხს შეუქმნა საფრთხე. შესაბამისად, სტუდენტები ვეღარ იღებენ იმ ცოდნას და უნარებს, რომლებიც დასაქმების ბაზარზე სჭირდებათ. ამ შემთხვევაში არაპროფსიონალიზმია უმუშევრობის გამომწვევი მიზეზი, რომელიც თავის მხრივ უმაღლესი განათლების მასიფიკაციამ გამოიწვია. თუმცა რა თქმა უნდა, ამის კვლევაც და ცალსახად თქმაც

რთულია. რადგან შეიძლება უნივერსიტეტი მაქსიმალურად ზრუნავდეს სტუდენტების კონკურენტუნარიან პიროვნებებად ჩამოყალიბებას, მაგრამ თავად სტუდენტი არ სწავლობდეს სათანადოდ და არ აკეთებდეს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს.

აქედან გამომდინარე, რთულია უმაღლესი განათლებისა მასიფიკაციასა და დასაქმებას შორის კავშირის შესახებ საუბარი. რა თქმა უნდა ამ პროცესს დასაქმებაზე აქვს გარკვული გავლენა. როგორც უკვე აღვნიშნე, შეიძლება პროფესიონალების სიმრავლე გამოიწვიოს, ან პირიქით მოგვცეს არაპროფესიონალთა არმია დიპლომით ხელში. ერთი რამ ცხადია, უმუშევრობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა ფაქტორი იყოს. თუმცა კვლევა-ძიების პროცესში შეგვიძლია გამოვკვეთოთ ძირითადი მიზეზები და ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისკენ.

დასკვნები

- ✓ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, უმაღლესი განათლება მასიფიცირებულია. უფრო მეტიც, ბოლო დროინდელი მაჩვენებელისა და ტროუს განმარტების თანახმად, საქართველოში უმაღლესი განათლება უნივერსალურ ხასიათს ატარებს.
- ✓ საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია კურსდამთავრებულების დასაქმებისკენ. ყველა უნივერსიტეტი ვალდებულია ჩაატაროს სტუდენთთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა.
- ✓ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არის დასაქმებული, კერძოდ, 69.6%.
- ✓ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად - 51.4%.
- ✓ უმუშევარი კურსდამთავრებულების უმრავლესობის აზრით, დაუსაქმებლობის მიზეზი არის არასაკმარისი სამუშაო ადგილები.
- ✓ იმ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, რომელიც დასაქმებულია მაგრამ არა სპეციალობის შესაბამისად, კომერციის სფეროშია დასაქმებული.
- ✓ სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. (მამაკაცები - 59.13%; ქალები - 46.81%).
- ✓ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სპეციალობით დასაქმების მაჩვენბელი. 22-25 წლები - 47.51%; 30-33 წლები - 57.14%.
- ✓ ასაკის მატებასთან ერთად მცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი. 22-25 წლები - 22.97%; 30-33 წლები - 14.28%.
- ✓ სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით, კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა უფრო დიდი ნაწილია სპეციალობის შესაბამისად დასაქმებული. სახელმწიფო უნივერსიტეტებში 38.6% ხოლო კერძო უნივერსიტეტებში 66.6%
- ✓ ყველაზე მეტად სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულნი არიან ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი, კერძოდ, მათი 71.79%.

- ✓ უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვხვდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთან შემთხვევაში - 40%.
- ✓ ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს აქვს ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა.
- ✓ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფ უნივერსიტეტები, მაქსიმალურად ცდილობენ დასაქმებაში ხელი შეუწყონ თავიანთ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
- ✓ უნივერსიტეტები ხშირად აცხადებენ სტაჟირებას და ასაქმებენ კადრებს.
- ✓ ზოგიერთ უნივერსიტეტს ყავს დამსაქმებლები, რომლებიც ექსკლუზიურად მათი უნივერსიტეტის სტუდნეტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის აცხადებს ვაკანსიებს.
- ✓ კერძო უნივერსიტეტებში მხოლოდ ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო პროგრამები არსებობს.
- ✓ უნივერსიტეტები ცდილობენ სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესში ჩართონ დამსაქმებლები და კომპანიები.
- ✓ ზოგიერთ დამსაქმებელს აქვს/არ აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესსში.
- ✓ დამსაქმებლები, საქმიანობის სფეროს შესაბამისად, თანამშრომლების აყვანისას სხადასხვა ინდიკატორებს ეყრდნობიან.
- ✓ ზოგიერთ დამსაქმებელს სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სტაჟიორები ვერ აყავს.
- ✓ ჩვენს მიერ შესწავლილი კომპანიები უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ დასაქმების ფორუმებში მონაწილეობას არ იღებენ.
- ✓ ზოგიერთ დამსაქმებელს არ აქვს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის სურვილი.
- ✓ არც ერთი კომპანიის წარმომადგენელს არ უფიქრია, რომ სტიპენდია დაენიშნათ რომელიმე უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტისთვის (თავიანთ სფეროში).
- ✓ დამსაქმებლები უმუშევრობის მიზეზად არაპროფესიონალიზმს თვლიან და არა არასაკმარის სამუშაო ადგილებს.

რეკომენდაციები

- ✓ პირველი ნაბიჯი, რაც სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას, არის კვლევების ჩატარება უმუშევრობის მიზეზების დასადგენად.
- ✓ სახელმწიფომ უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია უმაღლესი განათლების მასიფიკაციისადმი. გამოკვეთოს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ამ პროცესს ახლავს თან.
- ✓ სკოლის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებზეც შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა.
- ✓ სკოლის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ უნივერსიტეტების შესახებ, რომელთა კურსდამთავრებულების უმრავლესობა დასაქმებულია.
- ✓ სახელმწიფო უნივერსიტეტებმა უნდა შეინარჩუნონ ისეთი პროგრამები, რომლზეც საქართველოში შრომის ბაზარზე ახლა დიდი მოთხოვნა არ არის, მაგრამ რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს, მაგ. ფიზიკა.
- ✓ უნივერსიტეტებმა უნდა გააძლიერონ ისეთი პროგრამები, რომლებზეც დასაქმების ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. მაგალითად, ვებ დიზაინის პროგრამა.
- ✓ სახელმწიფომ ავტორიზაციის მოთხოვნების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტების მიერ დამსაქმებლების სასწავლო პროგრამებში ჩართვა.
- ✓ სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საკუთარ განათლებაში. მათ უნდა მოითხოვონ უნივერსიტეტებისგან, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ და ამ ცოდნაში დამატებით არ უწევდეთ თანხის გადახდა. (ვგულისხმობ ტრენინგებს და სხვადასხვა კურსებს).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე, ი. (1985). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
2. ავტორიზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.* https://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo
3. აკრედიტაციის ცენტრი. (2006). *წლიური ანგარიში 2006.*
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024). თბილისი.
5. ილიაუნის განვითარების სტრატეგია: 2018-2024. (2017). თბილისი.
6. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა. (2018). თბილისი.
7. სამნიაშვილი, ლ. (2017). ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები. *განათლების მეცნიერებათა დოქტორის (PH.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია.*
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatleba https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
9. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. (2004). http://www.mes.gov.ge/content.php?id=193&module=legislation&page=detals&leg_id=64
10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.*

11. სართანია, ვ., თოქმაზიშვილი, მ., მაღლაკელიძე. შ. (2004). განათლების ეკონომიკის პრინციპები. თბილისი: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020 წწ) სამოქმედო გეგმა. საქართველოს უნივერსიტეტი. (2014) თბილისი.
13. Bai, L. (2006). Dilemmas and Challenges in China's Move to Mass Higher Education. *The China Quarterly, 185,* 128-144.
14. Connor, H. & Pollard, E. (1996) What Do Graduates Really Do? *IES Report 308*, Institute for Employment Studies, University of Sussex.
15. Crosier, D., Parveva, T. (2013). The Bologna Process: Its impact on higher education development in Europe and beyond. *Paris. UNESCO: International Institute for Educational Planning.*
16. Exeter, D. J., Ameratunga, S., Ratima, M., Morton, S., Dickson, M., Hsu, D., et al. (2010). Student engagement in very large classes: The teachers' perspective. S*tudies in Higher Education, 35(7),* 761–775.
17. Gumport, P. J., Iannozzi, M., Shaman, S., Zemsky. R. (1997). Trends in United States higher education from massification to post massification. Stanford, CA: National Center for Postsecondary Improvement, School of Education, Stanford University.
18. Hornsby, D. J., Osman, R. (2014). Massification in higher education: large classes and student learning. *Higher Education, 67*, 711-719.
19. Kataeva, Z., DeYoung, A. J., Jonbekova. D. (2016). The Massification of Higher Education and Diversification of the Institutional Landscape in the Republic of Tajikistan. *Higher Education in Russia and Beyond. 8,* 11-12.
20. Kaša, R., Mhamed, A., Dedze, I., Cunska, Z. (2016). Trajectories of Higher Education Massification in Latvia. *Higher Education in Russia and Beyond. 8,* 27-28.
21. Kimathi, K. J., Henry, E. E. (2014). An Evaluation of Quality of University Education in Kenya during this Massification Era. *Mediterranean Journal of Social Sciences, 5,* 345-349.

22. Lee S. (2015) The Perception of Higher Education as a Public Good: The Case of Hong Kong. In: Collins C.S., Neubauer D.E. (eds) Redefining Asia Pacific Higher Education in Contexts of Globalization: Private Markets and the Public Good. International and Development Education. Palgrave Pivot, New York.
23. Lenhardt, G./Stock M. (2000): Hochschulentwicklung und Bürgerrechte in der BRD und der DDR, *Kölner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie, 52*, 520-40.
24. Logli C. (2015) Higher Education and the Public Good: Creating Inclusive and Diverse National Universities in Indonesia in the Era of Globalization. In: Collins C.S., Neubauer D.E. (eds) Redefining Asia Pacific Higher Education in Contexts of Globalization: Private Markets and the Public Good. International and Development Education. Palgrave Pivot, New York.
25. Mohamedbhai, G. (2014). Massification in Higher Education Institutions in Africa: Causes, Consequences, and Responses. *International Journal of African Higher Education, 1,* 59-83.
26. Mok K.H., Jiang J. (2016) Massification of Higher Education: Challenges for Admissions and Graduate Employment in China. *Centre for Global Higher Education working paper series, 5.*
27. Mulryan-Kyne, C. (2010). Teaching large classes at college and university level: Challenges and opportunities. *Teaching in Higher Education, 15(2)*, 175–185.
28. Núñez, I. Livanos, I. (2009). Higher education and unemployment in Europe: an analysis of the academic subject and national effects. *Higher Education, 59,* 475–487.
29. Pashayeva, A., Isakhanli, H. (2016) Higher Education Snapshot of Azerbaijan. *Higher Education in Russia and Beyond. 8,* 17-18.
30. Pauw, K., Oosthuizen. M., Westhuizen, V.D. (2008). Graduate Unemployment in the Face of Skills Shortages: a Labour Market Paradox. *South African Journal of Economics, 76,* 45-57.
31. Schomburg, H. (2000). Higher Education and Graduate Employment in Germany. *European Journal of Education, 35,* 189-200.
32. Scott, P. (1995). The Meanings of Mass Higher Education. UK: McGraw-Hill Education.

33. Sharvashidze, G. (2005) Private higher education in Georgia.
34. Trow, M. (1999). From Mass Higher Education to Universal Access: The American Advantage. *Minerva, 37*(4), 303-328.
35. University Rankings. Retrieved from: https://www.4icu.org/ge/
36. Wang, R.J. 2003. "From elitism to mass higher education in Taiwan: The problems faced." *Higher Education, No. 46(3):* 261–287.
37. Williams, G. (1997). The market route to mass higher education: British experience 1979-1996. *Higher Education Policy, 10,* 275-289.
38. Woodley, A., Brennan, J. (2000). Higher Education and Graduate Employment in the United Kingdom. *European Journal of Education, 35,* 239-249.
39. Yang CC. (2015) Seeking a Redefinition of Higher Education by Exploring the Changing Dynamics of Higher Education Expansion and Corresponding Policies in Taiwan. In: Collins C.S., Neubauer D.E. (eds) Redefining Asia Pacific Higher Education in Contexts of Globalization: Private Markets and the Public Good. International and Development Education. Palgrave Pivot, New York.

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Education Sciences

Masers's program "Education Sciences"

Tamar Bakradze

Massification of Higher Education and Employment Rate by Specialisation in Georgia (Bachelor's Level)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Education Sciences

Master's thesis advisor: Lela Samniashvili

Doctor of Education Sciences

Tbilisi 2019